ეროვნულ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 3 8 ივნისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: რედაქციისაგან.—რა არის ნაცია? **ონ—ისა.**—სამეცნიერო საუბარი, **ივ. გომართელისა.**—სხვა-და-სხვა ამბები.—რუსეთში.—უცხოეთში.—მთვარევ წამიყვა (ლექსი), **ნარ-კანისა.**—პატარა ტალღები დიდ ზვირთებში, **ჩახმახისა.**—სახელმწიფო დუმა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—სომეხთა კათოლიკოსის არჩევის შესახებ, **ერთი სომეხის.**—მასწავლებელი (მოთხრობა), **პართენაშვილისა.**—წერილი რედაქციისადმი.—განცხადებანი.

რედაქციისაგან.

ამ ნომერში უადგილობის გამო ვერ მოთავსდა წერილი გაზ. „ნაპერწკალი“-ს (იხ. № 6) სარედაქციო დეკლარაციის საპასუხოთ. დაიბეჭდება „ჩვენი კვალის“ შემდეგ ნომერში.

II. რა არის ნაცია?

I. სხვა-და-სხვა თეორიები და შეხედულებანი.

ერთ გერმანელ მწერალის (ბაგოტის) აზრით ნაცია ანუ ერი ეკუთვნის იმ გვარ მოვლენაო, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით რაც არის, მაგრამ ვიცით მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეგვეკითხებიან მის ახსნა-განმარტებას. მეორე რომელღაც მწერალი ამბობს, რომ ნაციის განმარტებაზე თავს ისე გრძნობ თითქოს გინდოდეს ჰაერი მოხვეტო და ხელით დაიჭიროვო. თვითონ კაუცკი ერთ თავის უკანასკნელ ნაწარმოებში—ამ საკითხის შესახებ—შენიშნავს, „ეროვნება არის ისეთი რამ, რომელიც მუდამ ხელიდან გისხლტება, რამდენიც კი მოიწადინებ მის დაჭერას (განმარტებასო).“ ამიტომ საკვირველი არ არის რომ სწავლულთათვის ჯერ კიდევ საკამათოა ის, თუ რა არის ნაცია, რა შეადგენს მის არსებას. მაგრამ თუ ჩვენ ჯეროვანათ არ გვეცოდინება აღძრული საგანი, ისე შეუძლებელი იქნება გზა გავიკვლიოთ თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეუძლებელი იქნება ჯეროვანათ ანგარიში გაუწიოთ ყველა იმ მოთხოვნებს, რასაც წინ გვიყენებს დღეს აგრე წოდებული ნაციონალური პრობლემა.

ზოგიერთ წრეებში საკმაოთ გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ნაციას შეადგენდეს ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მცხოვრები ხალხი. ამ აზრს ბეჯითათ ავრცელებენ განსაკუთრებით გაბატონებულ ერთა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რათა „მეცნიერების“ დახმარებით თავიანთ მომავლინებელთა კუჭს გაუადვილონ დაჩაგრულ ერთა მონელება. ამ შეხედულებას ადგია უფრო ასე წოდებული „ოფიციალური მეცნიერება“ ევროპის ბევრ სახელმწიფოში ოფიციალური ქაღალდებისთვინ ტერმინები „ეროვნება“ (ნაციონალიტეტი) იხმარება ნაცვლათ ტერმინისა „ქვეშევრდომი“ (Sujet) ე. ი. ამა თუ იმ სახელმწიფოს კუთვნილების აღსანიშნავათ.*) ამ შეხედუ-

*) ტერმინების ასე ხმარების გამო, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთ ქართველ პატრიოტს ბ-ნ ს-ს (თუ არ ვცდები ჟენევაში) ასეთი კურიოზი დაემართა. რადგან პოლიცია ადგენს ხოლმე მცხოვრებთა „ვინაობის ბარათს“, ერთ მშვენიერ დილას ხსენებულ ქართველ პატრიოტსაც სახლში ფოსტით მიერთვა ასეთი ბარათი და იქ რუბრიკაში „რა ეროვნებისა?“ ჩაწერილი იყო „რუსი“ (პოლიციამ უკვე იცოდა, რომ ბ-ნი ს—ს რუსეთის სახელმწიფოდან იყო). „რუსი“ს დანახვაზე ჩვენს ქართველს ელდა ეცა; იგი უმალვე გაქანდა პოლიციის ნაწილში და „ვინაობის ქაღალდი“

ლებას ლიტერატურაში ძალიან ნაკლებათა ჰყავს დამცველნი. ამათ ამ ბოლო დროს სხვათაშორის მიემატა ერთი ახალგაზდა ბელგიელი მწერალი ლეონ ჰენნებიკი, რომელიც თავის თავს სოციალისტათ აღიარებს, თუმცა მის სოციალისტობას ბელგიის მუშათა პარტია არა სცნობს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ბურჟუაზიულ შეხედულების მსხვერპლნი ხდებიან აგრეთვე ზოგიერთი ჩვენებური სოციალდემოკრატები.*) ამათ ასე ემართებათ, რასაკვირველია, შეუგნებლათ და უნებლიავათ. ამ შეხედულების გამომხატველაი და დამცველათ ჩვენ პრესაში ამ ბოლო დროს გამოვიდა ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე.

„უსახელმწიფოთ—აღბობს იგი—ერი არ არის... ერი, ან სამშობლო—ეგ უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მასსაა, რომელიც სცხოვრობს ერთ კანონის ქვეშ“ (იხ. „ამირანი“, № 41. „სამშობლო და მამულიშვილობა“). ასეთი განმარტება რომ მივიღოთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ყოველთვის ერთ ნაციათ გამოვაცხადოთ ერთ სახელმწიფოში, ერთი კანონის ქვეშ მცხოვრებნი, მაგ. შვეიცარიაში მცხოვრები ფრანგები, გერმანელები და იტალიელები. ასეც იქცევა ბ-ნი ჯორჯაძე. იგი აცხადებს, რომ „არსებობს ერი შვეიცარიელთა“ (იხ. იქვე); მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო ამის დასანახათ, რომ აქ ერთმანეთში არეულია ორი სრულიად სხვა და სხვა ცნება, სახელდობრ ხალხი, როგორც სახელმწიფოს მცხოვრებნი და ხალხი, როგორც ერის შემადგენელი კრებული.

ეს შეცდომა უფრო იქიდან მომდინარეობს, რომ სახელმწიფოს, საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ერის *) განვითარებაში, თუმცა არც იმდენაი დიდი, როგორც ამას ფიქრობს ბ-ნი ჯორჯაძე; მაგრამ მაინც მას არა იშვიათათ გამოუჩენია ისტორიის განმავლობაში „ძალა გათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთებისა“. ეს აგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან სახელმწიფო ადამიანებს მჭიდროთ აკავშირებს განსაზღვრულ ტერიტორიასთან და ამ რიგათ მათ შორის აბავს მუდმივ ურთიერთობას, რაიც საფუძვლათ ხდება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ განვითარებისათვის. სხვა და სხვა ნაციის ხალხი, ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მოტანებული, შეიძლება ერთმანეთში გაითქვიფოს და ერთ ნაციათ შედეგდეს, მაგრამ შეიძლება მოხდეს წინააღმდეგიც. ასე მაგ. ავსტრიაში საერთო სახელმწიფო ცხოვრებამ არამც თუ არ გათქვიფა, არ ჩაკირა და არ შეაერთა სხვა და სხვა ნაციები, არამედ იქ ასპარეზზე გამოიყვანა ახალი ნაციები, და რაც დრო მიდის, იმდენათ ავსტრიის ერები უფრო და უფრო მეტ უნარსა და ენერგიას იჩენენ თავიანთ ეროვნულ თვითარსებობის დასაცავათ და ეროვნულ განვითარების უზრუნველ საყოფელათ.

ბ-ნ ჯორჯაძემ დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა მან სახელმწიფოს აუკვიატა (ძალათ შეუკავშირა) ერი და პირველი მეორეს წარმომშობათ და ბედ—იღბალის გადამწყვეტაი გამოაცხადა. ეს შეცდომა თავის დროზე სამართლიანათ აღნიშნა ანმა (იხ. მისი „სადაო საკითხები“ „ცხოვრების სარკე“ № 18), მაგრამ ამან თავის მხრივ არა ნაკლები შეცდომა დაუშვა, როცა გვაუწყა „ნაციის დამახასიათებელია ტერიტორიაო.“ „(ცხ. სარკე“ № 9, „ნაციონალური კითხვა“) ნამდვილათ კი ტერიტორია დამახასიათებელია სახელმწიფოსი და არა ნაციისა, ტერიტორია არის შემადგენელი ელემენტი სახელმწიფოსი, ეს უკანასკნელი და არა ნაცია არის მატარებელი ტერიტორიალურ პრინციპისა. ასე გვასწავლის თვით სახელმწიფო უფლება. მართალია ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის განვითარებაზე, ის ერთობ დიდ როლს თამაშობს ნაციის ბედ-იღბალში და აი სწორეთ ეს გარემოება იძლევა ილიუზიას, ვითომ ტერიტორია იყოს ნაციის არსების ერთი შემადგენელი ნაწილი. ასე მაგ. თუ ერთი და იგივე ნაცია გაითიშა, განცალკევდა ტერიტორიალურათ და ამ რიგათ დაყოფილ ნაწილთა შორის შეწყდა სისტემატიური მიმოსვლა-ურთიერთობა, მაშინ ნაწილები უეჭველათ ითიშებიან ნაციონალურათაც, ე. ი. ადგებიან გადაგვარების გზას და ბოლოს და ბოლოს გადიქცევიან სხვა და სხვა ნაციებათ. მაგრამ ასე არა ხდება ყოველთვის. თუ ნაციას უკვე მიუღწევია განვითარების განსაზღვრულ სიმაღლემდე და ამასთანავე უკვე შექმნილა ურთიერთობა—მიმოსვლის იმგვარი საშუალებანი, როგორიც არის რკინის გზები, ორთქლითმავალი გემები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, ამასთანავე წიგნები და ჟურნალ

თავში მიახალა „კომისარს“ (ბოქაულს), თანაც თვალებ დაჭყეტილ პოლიციელს მკვახეთ განუცხადა: „მუსიო, კარგათ იცოდეთ, რომ მე მაგ ქაღალდს არც ჯიბეში ჩავიდებ და არც სახლში დავაყენებ, რადგან შიგ ჩემი პირადი, სასტიკი შეურაცყოფაა მოთავსებულიო. მეორე სახელმწიფოში, რადგან ამავე ნიადაგზე რუსეთელ სტუდენტობას ხშირათ ლაპარაკი მოსდიოდა ერთ ოფიციალურ დაწესებულებასთან, ამან გონივრულათ ახალი ბლანკები დაბეჭდინა და „ეროვნების“ ნაცვლათ შეიტანა „ქვეშევრდომ.“ მართალია აქაც მოხდა ერთი კურიოზი. ერთ ქართველ სტუდენტს დოკუმენტში ჩაუწერეს: „ქვეშევრდომია საქართველოსი.“

*) ლიტონ სიტყვათ რომ არ ჩამოგვართვან, გაგახსენებთ თუნდ იმას, რომ განვლილ მეძრაობის დროს, როცა დამარცხდა რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიისა და პროლეტარიატის განმარტოების ტაქტიკა, და ცხოვრებამ იმპერატიულათ, გარდაუვალ ბრძანებით გიკარნახათ ის ტაქტიკა, რასაც ამ სტრიქონების დამწერი გეჩიჩინებოდათ ბევრით ადრე, ვინემ პროლეტარიატი განიცდიდა სასტიკ დამარცხებას, აი მაშინ ზოგიერთ ამხანაგებმა, პირზე დაიკრეს **„საერთო ნაციონალური მიზნები“**, როგორც ამას გამოსთქვამდენ ზოგიერთი რუსი ამხანაგები „общенаціональныя задачи“ ე. ი. ისეთი მოთხოვნების წამოყენება და ხაზგასმა, რომელიც საერთო იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ნაციების ყველა პროგრესიულ კლასებისა და საზოგადოებრივ ჯგუფებისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში ეს ამხანაგები ნაციათ აღიარებდენ მთელ იმ ხალხს, იმ 150 მილიონ მცხოვრებთ, რომლთაც შემორტყმული აქვს ერთი რკინის სალტე წოდებული რუსეთის სახელმწიფოთ.

ო.

*) მკითხველს ვთხოვ დაიხსომოს, რომ სიტყვებს „ნაცია“ და „ერი“ ვხმარობ ერთ და იმავე ცნების აღსანიშნავათ: მათ შორის არავითარ განსხვავებას არა ვდებ.

-გაზეთობა, მაშინ ნაცია, განცალკევებული ტერიტორიალურათ, სრულებითაც არ იშლება ნაციონალურათ. თანამედროვე ისტორია მოწმობს, რომ ასეთ პირობებში განცალკევებული ნაწილები თანდათან კვლავ უახლოვდებიან, მკვიდრათ უკავშირდებიან ერთმანეთს და განაგრძობენ საერთო ნაციონალურ არსებობას. ხოლო თუ ნაცია იმდენათ დაიქსაქსა ტერიტორიალურათ, რომ მას აღარ მოეპოება ერთი ნაციონალური კერა, ე ი. ერთი ადგილი, სადაც სცხოვრობდეს განსაზღვრული რიცხვი მისი ეროვნების ადამიანებისა, თუ აღარ მოეპოება ერთი თუნდა პატარა აუზი, საიდანაც ეროვნული სიცოცხლის ნაკადული ეგზავნებოდეს მის დაქსაქსულ ნაწილებს, მაშინ ეს ნაცია უეჭველათ ისპობა. მაგრამ ასე ხდება იმიტომ კი არა, ვითომ ტერიტორია იყოს ნაციის არსების შემადგენელი ელემენტი (ნაწილი), არამედ მხოლოთ იმიტომ, რომ ტერიტორია, დედა. მიწა „დედაა“, ბუნებრივი ნიადაგია, როგორც ყოველგვარ სიცოცხლის, ისე ყოველგვარ სოციალურ მოვლენის და ერთ სწორეთ ასეთ მოვლენას შეადგენს ეროვნებაც.

დიდ ხანს ფიქრობდენ, ვითომ ნაციას ჰქმნიდეს საერთო ჩამომავლობა, ერთი გვარტომობა. თითქმის ყოველ ნაციას მოეპოება ზღაპრული თქმულებანი, რომელნიც მოგვითხრობენ მის ერთ დედ-მამისაგან წარმოშობას. მართლაც თვითეულ ნაციას ჰყოლია საერთო წინაპრები, მაგრამ დღეს აღარ მოიპოება თითქმის არც ერთი ნაცია, რომლის შემადგენელ ადამიანთ ძარღვებში არ ედგას სხვადასხვა მოდგმის სისხლი. მეცნიერებამ დანამდვილებით იცის, რომ მაგ. იტალიელები ჩამომავლები არიან ეტრუსკელების, რომაელების, კელტების, სარაცინელების, ბერძნების და გერმანელების; თვითონ დღევანდელი გერმანელები ჩამომავლები არიან გარდა ძველ გერმანელების, აგრეთვე სლავიანების, კელტებისა და სხვ., ხოლო დღევანდელი ფრანგების სისხლში ურევია გალების, ბრიტების, რომაელების და გერმანელების სისხლი და სხ.

თქმა არ უნდა, რომ არც სარწმუნოების ერთობა ჰქმნის ნაციას. მიუხედავათ იმისა, რომ სარწმუნოებაც ზოგჯერ თვალსაჩინო როლს თამაშობს ერის ცხოვრებაში. მაგ. განსაზღვრულ პირობებში ნაციის სარწმუნოებრივ განცალკევებამ შეიძლება საოცრათ ხელი შეუწყოს ამ ნაწილების ნაციონალურ განცალკევებას ე. ი. ნაციონალურ გადაგვარებას. ასე ხდება, როცა ერი იმყოფება კულტურის უმდაბლეს საფეხურზე, როცა სარწმუნოება შეიცავს და თავის ელფერს ადებს ხალხის თითქმის მთელ სულიერ კულტურას. მდაბიო ხალხი დღესაც ერთმანეთში ურევს „რჯულსა“ და ეროვნებას[1]); მაგრამ ყველა ოდნავაც შეგნებული დღეს კარგათ ხედავს, რომ ერთ და იმავე ნაციის ადამიანები უმეტეს ნაწილათ სხვა-და-სხვა სარწმუნოებას აღიარებენ და ამით სრულიადაც არ ირღვევა ნაციონალური ერთიანობა.

ამაზე ლაპარაკიც მეტია. სამაგიეროთ სერიოზულ განხილვას ითხოვს **ენა**, რასაც ბევრი სწავლული აღიარებს იმ ცემენტათ, რომელიც ადამიანებს ადუღებს ერთ ნაციათ. ენა მართლაც და აუცილებელი პირობაა ადამიანთა შორის რაიმე ურთიერთობის გასაჩენათ, რაიმე საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლათ. ენის საშუალებით ინახება ზნე-ჩვეულება, ენით, ზეპირ-სიტყვით და ნაწერი თუ ბეჭდური სიტყვით ერთი თაობიდან მეორე თაობაზე გადადის ადამიანთა ცოდნა-გამოცდილება და სხ. ენას უეჭველათ შესწევს ძალა ნაციის ჩაკირვისა და კონოლიდაციისა (გამაგრებისა), ენის როლი იმდენათ დიდია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის გადაჭარბება, მაგრამ კაუცკის, ჩვენის ფიქრით, მაინც გადაჭარბებულათ აქვს წარმოდგენილი ეს მნიშვნელობა.

„ჩვენის აზრით—სწერს კაუცკი—ეროვნების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნობლივი თვისება არის **ენა**[2]). კაუცკისათვის ენა არის დედა ძარღვი ნაციის არსებობისა. იგი იქამდის მიდის, რომ სწერს: „ინგლისელი (მაგალითათ) ინგლისელათ რჩება იმ დროამდე, სანამ ის ინგლისურს უფრო უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე სხვა **რ**ომელსამე ენას. ხოლო თუ ის ბერლინში იცხოვრებს იმდენ ხანს და ინგლისელებთანაც ისე გასწყვეტავს კავშირს, რომ ინგლისურ ენას დაივიწყებს და გერმანული ენა გახდება მისთვის იმ ენათ, რომელზედაც მას უკეთ შეეძლება ლაპარაკი, ვინემ სხვა რომელსამე ენაზე, აი ენის ამგვარი შეცვლით იგი (ინგლისელი), რასაკვირველია, იქცევა გერმანელათ“.[3])

ამ აზრის უსაფუძვლობა თავის თავად ცხადია. ვინ არ იცის, რომ მაგ. ქართველობაში ბევრი ინტელიგენტი რუსულათ უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ქართულათ, მარა მიუხედავათ ამისა, არც თვით იმ ინტელიგენტებს და არც სხვას ჯერ არ მოსვლია აზრათ ის ფანტასტიური აზრი, ვითომ იგინი ამიტომ რუსები იყვენ და არა ქართველები. „შენი ენის მცოდნე—ამბობს კიდევ კაუცკი—მეგობრათ გიხდება, არ მცოდნე—უცხოა, რომლისადმი გრძნობენ-გარემოების და მიხედვით – ან გულგრილობას, ან დაცინვას, ან ზიზღსა და ან სიძულვილს.“[4]) მაგრამ მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ—გეხსომებათ ამ დღეებში ზიზღსა და სიძულვილს, რომლის გამომხატველი შეიქმნა გაზ. „გოლოს კავკაზა“, წინ ვერ გადაეღობა ერთ და იმავე ენის ცოდნა. კაუცკი ასე განმარტავს თავის აზრს: „უცხოეთში ნაციონალური განსხვავება ხშირათ უფრო ძალუმათ იჩენს თავს, ვინემ უმკაცრესი კლასიური წინააღმდეგობა. თუ მაგ. გერმანელი მუშა წავა საფრანგეთში და არ ეცო-

[1]) ერთხელ ერთმა ქობულეთელმა მაჰმადიანმა ქართველმა, ჩემ შეკითხვაზე თუ რა ეროვნებას ეკუთვნოდა,—მომიბო „თათარი ვარო“; როცა შევნიშნე, რომ მას ქართველობასთან ბევრი რამ აკავშირებდა, მან მიპასუხა: „ეგენი მართალია ქართველის გვაქვს, მარა ჩვენ მაინც ყოლიფრამდი თათარი ვართ, რადგან ჩვენი რჯული თათრისაოო“.

[2]) იხ. Nationalität unb internationalität გვ. 6.
[3]) იხ. Кризисъ Австріи (Языкъ и нація) გვ. 4.
[4]) Кризисъ. Австріи გვ. 5

დინება არც ერთი სიტყვა ფრანგული, არც თავის გვერ-
დით ეყოლება გერმანულათ მოლაპარაკე კლასიური
ამხანაგები, მაშინ ის მიუხედავათ ყველა ინტერნაციო-
ნალურ და კლასიურ თვითშეგნება-სოლიდარობისა,
ფრანგ პროლეტარებ შორის თავს ძალიან ცუდათ იგ-
რძნობს, და პირველსავე გერმანელს, რომელიც მას გა-
მოელაპარაკება, თუნდაც ეს იყოს ექსპლოატატორი
(კაპიტალისტი), ვისაც იგი სამშობლოში სიძულვილით
უყურებდა, უცხოეთში სიხარულით მიესალმება“ [5]) აქ
აღებულია ისეთი შემთხვევა, როცა ნაციონალური გან-
სხვავება მართლაც უკიდურეს ძლიერებით იჩენს თავს.
მაგრამ აღნიშნულ პსიხოლოგიას იწვევს არა მარტო ენის
სხვა-და-სხვაობა. ყველამ იცის ის ფაქტი, რომ უცხოე-
თში ხშირათ სიამოვნებით ხვდებიან თავის ნაციის ადა-
მიანებს თვით ისენიც, ვინც უკვე კარგათ ლაპარაკობენ
უცხო ენას. ჯერ კიდევ გრიბოედოვმა სთქვა, რომ
„უცხოეთში (როცა იმოგზაურებ) სამშობლოს ბოლიც
კი მოგვწონს და გვესიამოვნებაო“. ამ დღეებშიაც ჩვე-
ნმა მცხოვანმა პოეტმა აკაკიმ გამოაქვეყნა ერთი გულ-
უბრყვილო ლექსი „პეტერბურგი“, სადაც იგი გვიხა-
ტავს თავის სულიერ მდგომარეობას, რაც მან განიცადა
ეხლახან პეტერბურგში ყოფნის დროს. ბ-ნი აკაკი მშვე-
ნიერათ მცოდნე რუსული ენისა—ათვალიერებს, აკვირ-
დება რუსეთის სატახტო ქალაქის და მის მცხოვრებთა
სხვა და სხვა მხარეებს, მაგრამ მას თვალში არაფერი
არ მოსდის და მისი გული-გონება ისწრაფის საქართვე-
ლოსაკენ. პოეტს რუსის ქალიც კი აღარ უნდა დაინა-
ხოს, ქართველი ქალი კი... „ოჰ, ღმერთო ჩემო, რა
ლამაზია.

იმის ერთ კოცნას შესწირავ სრულად, შენი
რომ იყოს მთელი აზია!..“ როგორცა ხედავთ, აქ უკ-
ვე ენა აღარაფერ შუაშია.[6])

ენის სასარგებლოთ კაუცკის მოყავს ერთი მეტათ
მკვეთრი არგუმენტი, სახელდობრ, ის სამართლიანათ
აღნიშნავს, რომ არც დღეს და არც გუშინ არ ყოფილა,
ისტორიამ არ იცის ისეთი ნაცია, რომ არ ჰქონოდეს
საერთო ენა. (დიალექტები თუ კილოკავები, რასაკვი-
რველია, სახეში მისაღები არ არის). მართალია ებრაე-
ლები სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ებრაე-
ლების თვით ნაციაც ბევრისთვის დღეს საეჭვოა თუ არ-
სებობს, ყოველ შემთხვევაში ებრაელები არ წარმოადგენენ
ტიპიურ ნაციას. ეს ასეა მარა, ჩვენ კაუცკის ზემომოყვანილ
არგუმენტს დავუპირდაპირებთ შემდეგ გარემოებას. ირ-
ლანდიელები და ინგლისელები, დანელები და ნორვე-
გიელები, სერბები და კროატები და სხვა და სხ. ერთსა
და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთსა და იმავე
ნაციას კი არ შეადგენენ. ეს მოვლენა ჩვენთვის საბო-
ლოოთ გაუგებარი დარჩებოდა, თუ კი ვირწმუნებდით,
ვითომ ენას ერთობა ჰქმნიდეს ნაციას.

[5]) Nationalität und internationalität. ბვ. 7—8.

[6]) აღნიშნულ ნაციონალურ გრძნობას არც ვიწონებთ და
არც ვიწუნებთ. ამაზე ცალკე გვექნება ლაპარაკი. აქ კი აღვნიშნავთ
მარტო ფაქტს.

ცხადია ენა ვერ აგვიხსნის ნაციის არსებას. მაგრა-
თუ ვერც ენა, ვერც ჩამომავლობა, ვერც ტერიტორი-
და სხ. და სხ. ვითომ ნაციის ელემენტები, ცალკ-ცა-
ლკე აღებული, ვერ იძლევა საკითხის ახსნას, შეიძლებ-
ყველა ეს ელემენტები ერთათ აღებული შეიცავდენ სა-
იდუმლოების გასაღებს. სწორეთ ასე ფიქრობენ განსა-
კუთრებით იტალიელი სოციოლოგები. ამათი თეორიით
ნაციას შეადგენს საერთო ტერიტორია, საერთო ჩამო-
მავლობა, საერთო ენა, საერთო ზნე-ჩვეულება, საერთო
ჭირი და ლხინის გამოცდა, საერთო ისტორიული წარ-
სული, საერთო კანონები და საერთო სარწმუნოება.
ასეთია ემპირიული თეორია. ამ შეხედულებას, სხვათა-
შორის, ბეშმარიტათ სცნობს ანი. იგი სწერს: „ხალხ-
ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე
ერთნაირ ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხ. წარმო-
ადგენს ერთ ერს ანუ (?) გვარტომობას“[7]) (იხ. „ცხ. სარ-
კე“, 18). მაგრამ ეს თეორია სრულიად სხვა-და-
სხვა ძალისა და მნიშვნელობის გარემოებათ ერთსა და
იმავე ქვაბში აქცევს; არ გვეუბნება თუ რათ ხდება,
რომ ხშირათ არა ერთი და ორი აღნიშნული ელემენტ-
იკარგება ხოლმე, ნაცია კი არამც თუ არ იკარგება,
პირ იქით უფრო მკაფიო გამოხატულებით განაგრძობ-
ხოლმე არსებობას, ეს თეორია იძლევა – მეტ-ნაკლების
სისწორით—მხოლოთ ნაციის გარეგან აღწერილობას,
იგი დასცურავს მოვლენის ზედა-პირზე, სრულებითაც
ვერ გვახედებს მის არსებაში; ეს არ არის მეცნიერული
თეორია და როგორც ამნაირი უნდა უარყოფილ იქმნას..

ონ.

სამეცნიერო საუბარი

ცხოველების განვითარება.

მეცნიერული ცოდნა ცხოველების წარმოშობისა
მეცხრამეტე საუკუნემდე არ არსებობდა. საშუალო საუ-
კუნოებში გამეფებული იყო სამღვდელოება, რომელიც
სასტიკათ იცავდა სამღვთო წერილის ყოველ სიტყვას და
მეცნიერულ კვლევა ძიებას სდევნიდა. მეცნიერებს ცეცხ-
ლზედა სწვამდენ, ციხეებში ალპობდენ და ამ გვარ პი-
რობებში ბეშმარიტი ცოდნის აღორძინება და გავრცე-
ლება შეუძლებელი იყო. ცხოველთა გაჩენის შესახებ
გაბატონებული იყო მოსეს მოძღვრება, რომელიც ამ-
ტკიცებს: ყველა ცხოველები თვით ღმერთმა გააჩინაო.
მეცხრამეტე საუკუნემდე მეცნიერები დარწმუნებული
იყვენ, რომ დასაბამიდან ქვეყნისა უცვლელათ არსებო-
ბდენ ის ცხოველები, რომლებიც დღესაც არსებობენ.
მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეცნიერმა კიუვიემ
დაამტკიცა, რომ სხვა-და-სხვა დროს დედამიწაზე არსე-
ბობდენ იმგვარი ცხოველები, რომლებიც შემდეგ მოის-

[7]) აქ ანი ერსა და გვარტომობას შუა თანასწორობის ხაზსა
სვამს, თუმცა ერის აუცილებელ თვისებათ თვითონვე ასახელებს,
ენას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას და სხვა. რასაც გვარტომობა
სრულიადაც არ იბულისხმებს აუცილებლათ.

ო.

ბენ; სამაგიეროთ მათი ალაგი დაიკავეს იმგვარმა ცხოველებმა, რომლებიც წინათ არ არსებობდენ. რითი ხსნიდა თავის აღმოჩენას კიუვიე? ამ მეცნიერის აზრით დედამიწამ რამდენჯერმე გამოსცადა ძლიერი შერყევა ანუ კატასტროფა, რომლის დროსაც ცხოველთა დიდი ნაწილი იხოცებოდა. ახალი ცხოველები საიდანღა ჩნდებოდენ? ახალ ცხოველებს ხელახლა აჩენდა ღმერთი ყოველი კატასტროფის შემდეგო, დასძინა კიუვიემ. ამგვარათ მოსე წინასწარმეტყველი ამტკიცებდა: ღმერთმა ერთხელ გააჩინა ცხოველებიო; კიუვიემ კი მოსეს მოძღვრება შეასწორა ახალი აღმოჩენების თანახმათ: ღმერთმა ერთხელ კი არა, რამოდენჯერმე გააჩინა ცხოველებიო. კიუვიეს მოძღვრება გამეფებული იყო მეცნიერებაში 1859 წლამდე, როდესაც გამოვიდა დარვინის შესანიშნავი წიგნი ცხოველთა წარმოშობის შესახებ. კიუვიეს წინააღმდეგ პირველათ ამხედრდა ლამარკი. ლამარკი ამტკიცებდა: ყველა ცხოველები დროთა განმავლობაში ნელა-ნელა იცვლებიან, სხვანაირდებიან და თავის წინაპრებს თანდა თან შორდებიან; ყველა ცხოველები თავდაპირველათ ბუნებრივათ, თავის-თავათ გაჩნდენ დედა ბიწის ზურგზე და მას აქეთ გარეშე პირობებთან შეგუება იწვევდა და იწვევს ცხოველებში შეუჩერებელ ცვალებადობასო. ადამიანის წარმოშობის შესახებაც ამგვარისავე აზრის იყო ლამარკი; მისი შეხედულებით ადამიანი თანდათან განვითარდა მაიმუნებისაგან. ამ განვითარებას ლამარკი სასწაულით კი არა ხსნის, არამედ ბუნებრივის კანონებით. შეუჩერებელი განვითარება ანუ ევოლიუცია—აი რამ წარმოშობა ცხოველები ლამარკის შეხედულებით.

სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობა იმდენათა ჰქონდა გამჯდარი მეცნიერებს, რომ ლამარკის მიძღვრებას არავინ არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. რადგანაც ლამარკი ყოველგვარ კავშირს სწყვეტდა სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობასთან, კიუვიე კი თავის მოძღვრებას ამ ცრუმორწმუნეობაზე ამყარებდა, გამარჯვებული კიუვიე გამოვიდა. გაიარა იცმა წელიწადმა. მეცნიერმა სენტ-ილერმა, ლამარკის მიმდევარმა, დიდი იერიში მიიტანა კიუვიეზე, მაგრამ სწორი შეხედულება აქაც დამარცხდა და კიუვიემ ისევ გაიმარჯვა. ამის მიზეზი ერთის მხრით ის იყო, რომ ცხოველების თანდათანი განვითარების დასამტკიცებლათ საკმაო ფაქტები არ არსებობდენ, მეორეს მხრით, რომ საზოგადოების და მეცნიერების ბრმათ სწამდათ სარწმუნოებრივი მოძღვრების ყოველი სიტყვა და სასტიკათ ეწინააღმდეგებოდენ ყოველ იმგვარ მოძღვრებას, რომელიც სარწმუნოებას არ ეთანხმებოდა. გაიარა დრომ; მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, გადაშენებული ცხოველების ძვლების შესწავლამ აღმოაჩინა ურიცხვი ფაქტები ლამარკის აზრის დასამტკიცებლათ; ყოველივე ამით ისარგებლა დარვინმა და კიუვიე სამუდამოთ დაამარცხა.

რას წარმოადგენს დარვინის თეორია ანუ დარვინიზმი?

ყოველ ცხოველს გარეშე ბუნებაში წინ ხვდება ხსვადასხვა დაბრკოლება; ცხოველი ებრძვის ყველა ამ დაბრკოლებას, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, თვისი არსებობა დაიცვას; ერთი სიტყვით ყოველი ცხოველი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვის არსებობისათვის. ამ ბრძოლაში ზოგი მარცხდება, იღუპება და ისპობა, სხვები კი იმარჯვებენ და ცხოვრებას განაგრძობენ, მრავლდებიან. მარცხდება ის, ვინც გარეშე პირობებს ვერ შეეგუება; იმარჯვებს ის, ვინც გარეშე პირობებს შეეგუება, აიტანს. ამგვარათ ბუნებაში სწარმოებს ერთგვარი არჩევა, რომელსაც დარვინი უწოდებს ბუნებრივ არჩევას: უვარგისნი იხოცებიან და ისპობიან, ვარგისნი სძლებენ და შენდებიან. რადგანაც გარეშე პირობები ნელ-ნელა და შეუჩერებლათ იცვლებიან, ბუნებრივი არჩევაც არსებობისათვის ბრძოლაში იწვევს ცხოველთა ცვლილებას და დროთა განმავლობაში ნაშიერნი თანდათან შორდებიან თავის უძველეს წინაპრებს. მაგალითად ადამიანმა უძველეს დროს მოაშინაურა მგელი. მოშინაურებული მგელი თანდათან დაშორდა თავის გარეულ წინაპარს და ბოლოს გადაიქცა ძაღლათ.

დარვინის თეორიით ცხოველები ერთხელ და სამუდამოთ კი არ გაუჩენია ღმერთს, არამედ ისინი ბუნებრივათ განვითარდენ.

ადამიანის განვითარებაც ამ ბუნებრივი არჩევის კანონს ექვემდებარება. ჯერ ლამარკმა გამოსთქვა შემდეგი აზრი: ადამიანი მაიმუნებისაგან უნდა განვითარებულიყოვო. დარვინი თავის წიგნში ადამიანის წარმოშობის შესახებ ამტკიცებს: ადამიანი და მაიმუნები ერთი და იმავე წინაპრებიდან განვითარდენო. დღეს მეცნიერებას უკვე აქვს ჩონჩხი იმ ცხოველისა, რომელიც მაიმუნსაცა ჰგავს და ადამიანსაც,— ის არც მთლათ მაიმუნია, არც მთლათ ადამიანი. დღეს უკვე მეცნიერულათ არის დამტკიცებული, რომ ადამიანი თანდათან განვითარდა მაიმუნის მზგავს ცხოველისაგან. უძველეს დროს ძუძუმწოვარ ცხოველთა სამეფო გაცილებით უფრო ჰატარა იყო, ვიდრე დღეს არის, და მეცნიერული კვლევა აშკარათ გვეუბნება, რომ ყველა ძუძუმწოვარი ცხოველები და მათთან ერთათ ადამიანი ერთი და იმავე წინაპრის ნაშიერნი არიან, ე. ი. რამდენიმე მილიონი წლის წინეთ დღევანდელი ხერხემლიანი ცხოველები და ადამიანი არ არსებობდენ,—ყველა ამათ ნაცვლათ იყო ერთგვარი ძუძუმწოვარი ცხოველები, რომლებისაგანაც განვითარდენ მილიონი წლების განმავლობაში ყველა დღევანდელი ძუძუმწოვარი და ადამიანიც. თუ ესენი ამდენათ დაშორდენ ერთმანერთს თავისი გარეგნობით, ეს გამოიწვია ბუნებრივმა არჩევამ, რომელიც შეუჩერებლათ მოქმედებდა რამოდენიმე მილიონი წლების განმავლობაში. მიუხედავათ დიდი განსხვავებისა დიდი მზგავსება დარჩა დღემდე. ყველა ხერხემლიანი ცხოველები რომ შეადაროთ ერთმანეროს, მათს აგებულებაში ძალიან დიდ მსგავსებას ჰპოებთ. ბაყაყის ჩონჩხი რომ ადამიანის ჩონჩხს შეადაროთ, გასაოცარ მსგავსებას ჰპოებთ. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ფრინველის ფრთა და ადამიანის

ხელი ერთი და იმავე ასოსაგან განვითარდენ, მაგრამ გარეშე ცხოვრების სხვა და სხვა პირობებმა ესენი ერთი მეორეს დააშორა მილიონი წლების განმავლობაში.

გავრცელებულია შემდეგი აზრი: ადამიანს ორი ხელი აქვს და ორი ფეხი, პირუტყვებს კი ოთხი ფეხი. გამოკვლევამ დამტკიცა, რომ პირუტყვების წინა ფეხები თავისი აგებულებით უკანა ფეხებს კი არა ჰგავს, არამედ ადამიანის ხელებს. ამგვარმა შესწავლამ დამტკიცა, რომ ცხენის, ხარის, ძაღლის და სხვა წინა ფეხი უფრო ადამიანის ხელსა ჰგავს, ვიდრე ამავე პირუტყვების უკანა ფეხებს, რასაკვირველია, გარეგნობით კი არა, არამედ ძვლებით. გარეგნობით ადამიანის ხელებსა და თევზის წინა ფრთებს შორის არავითარი მსგავსება არ არის; ნამდვილათ კი თევზის წინა ფრთებში იგივე ძვლებია, რაც ადამიანის ხელებში, ხოლო ძალიან შეცვლილი და სხვა რიგზე დალაგებული. აიღეთ შინაური პირუტყვები და ადამიანი. ადამიანი ისახება იმგვარათ, როგორც პირუტყვები, ვითარდება დედის საშოში ისე, როგორც პირუტყვები. საშოში როგორც ადამიანის ჩანასახი, ისე პირუტყვებისაც მოთავსებულია ერთგვარ ბუდეში ანუ მომყოლში. დაბადებისათანავე ადამიანი საზრდოობს რძით, როგორც სხვა პირუტყვები. მზგავსება უფრო დიდია, როცა ადამიანებსა და მაიმუნებს შეადარებთ. მაიმუნებში ადამიანს განსაკუთრებით ჰგავს ორანგი და ჰიბბონი, რომლებიც აზიაში სცხოვრობენ, და ჰორილლა და შიმპანზე, რომლებიც აფრიკაში არიან. ამიტომ ამ მაიმუნებს უწოდებენ მეცნიერები იდამიანის მზგავს მაიმუნებს. ამ მაიმუნების აგებულების შესწავლამ გამოარკვია, რომ იმათ ჩონჩხს შეადგენს ორასი პატარა და დიდი ძვალი. ადამიანსაც სწორეთ ამდენივე ძვალი აქვს ჩონჩხში. ყველა ეს ძვლები მაიმუნების ჩონჩხში იმ რიგზე არიან მოთავსებული, როგორც ადამიანის ჩონჩხში და ადამიანისა და ამ მაიმუნების ჩონჩხი ერთი-მეორეს ძალიან ჰგვანან. ამ მაიმუნებსა აქვს სხვადასხვა სიდიდის სამასი კუნთი. ამდენივე და ამგვარი კუნთები აქვს ადამიანსაც. ტვინის აგებულება და გარეგანი მოყვანილობაც ამ მაიმუნებს იმისთანა აქვს, როგორც ადამიანს. ადამიანისა და ამ მაიმუნების გულს ერთმანერთში ვერ გაარჩევთ. ამ მაიმუნებს კბილები აქვთ ოცდა-თორმეტი. ამდენივე კბილი აქვს ადამიანსაც. ამგვარივე მსგავსებაა ადამიანისა და მაიმუნების ჭაჭებში, კუჭ-ღვიძლში, ნაწლევებში, ფილტვებში, სქესობრივ ასოებში და სხვ. ამგვარათ ადამიანსა და ამ მაიმუნებს შორის საერთო გაცილებით მეტია, ვიდრე ამ მაიმუნებსა და დანარჩენ ცხოველებს შორის,—ეს მაიმუნები უფრო ადამიანთა მოდგმას ეკუთვნიან, ვიდრე ცხოველებისას. თუ მხედველობაში მივიღებთ ბუნებრივ არჩევას, რომელიც დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებას იწვევს ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში, მაშინ ადვილი გასაგები იქნება ისიც, რომ იყო ისეთი დრო, როცა დედა-მიწის ზურგზე არც ადამიანი არსებობდა, არც მაიმუნები. ამათ ნაცვლათ სცხოვრობდენ მაიმუნის მზგავსი ცხოველები, რომლებიდანაც დროთა განმავლობაში განვითარდენ მაიმუნები და ადამიანი. როდესაც თქვენ წარმოიდგენთ დღევანდელ განვითარებულ ევროპიელს, შეუძლებლათ მიგაჩნიათ, რომ მისი წინაპარი მაიმუნის მზგავსი ცხოველი ყოფილიყოს. მაგრამ დედა-მიწის ზურგზე დღესაც ბევრია სხვა და სხვა ალაგას ისეთი ველურები, რომლებსაც არაფერი არა აქვთ საერთო სულიერის მხრით დღევანდელ განვითარებულ ევროპიელთან. აი ამ ველურ ადამიანებს თუ შეადარებთ მაიმუნებს, მაშინ არც ისე გეუცხოებათ მეცნიერების აზრი: ადამიანის წინაპარი მაიმუნის მსგავსი ცხოველი იყოვო.

(შემდეგი იქნება).

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

კავკასიის ნამესტნიკმა თავის უქვეშევრდომილეს ცნობაზე ექსარხოსის ნიკონის მოკვლის შესახებ მიიღო ხელმწიფესაგან 2 ივნისს შემდეგი პასუხი: „ღრმად ამაღელვა საქართველოს ექსარხოსის ნიკონის საზიზღარმა მკვლელობამ. დარწმუნებული ვარ, რო კავკასიის ყველა კეთილ-გონიერნი მცხოვრებნი ამ ბოროტ-მოქმედებით ისე არიან შეწუხებულნი, როგორც მე. ვმადლობ იმათ, ვინც თქვენ გამოგიცხადათ თავისი აღშფოთება და მწუხარება.“ „ნიკოლოზ.“

—

2 ივნისს, მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ, დილის რვა საათზე, საქართველოს ექსარხოსის გვამი სამღვდელოებამ გამოასვენა ჯვარის ეკლესიიდან და გაემართენ სიონის კათედრალურ ტაძარისკენ. სინოდალურ კანტორის შესავალთან, სადაც მოკლულ იქნა ექსარხოსი, გადიხადეს მცირე პანაშვიდი. სობოროში მწირველი იყო სტავროპოლის ეპისკოპოზი აგაფოდორი, აგრეთვე მონაწილეობას იღებდენ გურია სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდი, ბაქოსი-გრიგორი, იმერეთისა-გიორგი, სუხუმისა-დიმიტრი, გორისა-პეტრე და ალავერდისა-დავითი.

წირვაზე დაესწრენ გრაფ ვორონცოვ დაშკოვის მეუღლე, ნამესტნიკის თანაშემწენი, გენერალ-გუბერნატორი, თბ. გუბერნატორი, საგუბერნიო და სამახრო თავად-აზნაურობის წინამძღოლნი, ქალაქის თავი და ხმოსნები, სხვა და სხვა ქალაქების წა მომადგენელნი და სხვა.

წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა. წირვის გათავების შემდეგ სამღვდელოებამ გამოიტანა კუბო და დაასვენა კატაფალკაზე. სამგლოვიარო პროცესია დაიძრა $12^3/_4$ საათზე. ქუჩაში გამწკრივებული იყო ჯარი. ერევნის მოედნიდან, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი, გამწკრივებული იყო ყველა სასწავლებლის მოსწავლე ქალი და ვაჟები თავიანთი მასწავლებლებით. იყვენ აგრეთვე სომხის, მაჰმადიანის, ქართველ-კათოლიკეთა და სხვა სამღვდელოების წარმომადგენელნი. რამდენსამე ადგილას გადახდილი იქნა მცირე პანაშვიდი. სადგურზე მივიდა პროცესია $3^1/_2$ საათზე. სამღვდელოებამ კუბო შეიტანა

„სამეფო სავანე“ში, სადაც აგრეთვე გადიხადეს პანაშვიდი. ვაგზალში ელოდებოდა სამგლოვიარო მატარებელი, რომელიც განგებ იყო მომზადებული ექსარხოსის ნაშთების გადასატანათ; ამ მატარებელს თან გაჰყვა 5 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია. კუბოს ამკობდა რამდენიმე გვირგვინი, ოცამდის ხატი, ვაზის ჯვარი და სხვა.

—

„პეტერბ. ლისტოკ“ში დაბეჭდილია: „29 მაისს სინოდმა კავკავსა და თბილისიდან მიიღო კერძო ცნობები, რო პოლიციამ მიაგნო საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მკვლელების კვალსაო. ამბობენ, რომ ეს მკვლელობა საქმეა მთელის ბრბოსი, რომელმაც ვერ მოახერხა მკვლელობის კვალის დამალვაო.

—

ბაქოს გზაზე დაუჭერიათ ერთი დამოჟნის კასაზე თავ-დამცემთაგანი, რომელსაც აღმოსჩენია მაუზერის რევოლვერი და 13,800 მან. დაჭერილი თბილისისკენ გამოამგზავრეს.

—

თბილისის გენ.-გუბ. განკარგულებით მეხუთე საპოლიციო უბანში სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა ყველა საჩაიე, რესტორანები, ღვინის სარდაფები და სხვა ადგილები, სადაც ვაჭრობენ მაგარი სასმელებით. ვაჭრებმა შუამდგომლობა სთხოვეს ქალაქის თავს გენ.—გუბ. წინაშე, რომ მათ ნება მისცეს მან განაახლონ ვაჭრობა.

—

3 ივნისს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხჩობა გადაუწყვიტა გორის მაზრის მცხოვრებ ალექსანდრე ბერეჯანოვს, რომელსაც ბრალათ ედება საგუბერნიო ციხის ტუსაღის მოკვლა.

—

ქალაქში სხვა და სხვა უბნებში გახშირებულია ჩხრეკა-დაპატიმრება.

—

კვირას, 1 ივნისს, პოლიციამ მთელს ქალაქში აღკრძალა გაყიდვა პატრიოტების გაზეთის „გოლოს კავკაზა“სი; ვისაც კი ჰქონდა ეს გაზეთი, ჩამოართვა და წაიღო. 4 ივნისს გაზეთი ისევ გამოვიდა. ეტყობა, გავრცელებული ხმები გაზეთის გამოცემის აღკრძალვაზე, უსაფუძვლოა.

—

დამოჟნის კასის გაცარცვის დროს მოჰკლეს ერთი თავ-დამსხმელთაგანი. როგორც „თბ. ლის“. შეუტყვია, მოკლული აღმოჩნდა თბ. მცხოვრები თურქიანცი. თურქიანცი წინათ ყუმბარების შენახვისათვისა ყოფილა დაპატიმრებული, მაგრამ ამას წინათ სხვებთან ერთად გაპარულა.

—

დღეს, 8 მაისს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ა. ჯავახიშვილი თბილისის საკრებულოს დარბაზში წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე „ეკონომიური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოსი მეთვრამეტე საუკუნეში“.

—

დღეს უნდა მოხდეს არჩევნები სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრებისა. როგორც ვიცით, არჩევნები უნდა მომხდარიყო წარსულ კვირას, მაგრამ ექსარხოსის მოკვლის გამო გადაიდო დღეისთვის.

ამ დღეებში გათავდა „სოჭის რესპუბლიკის“ საქმის გარჩევა. პასუხის გებაში მიცემული იყო 109 კაცი. სასამართლომ 40 გაამართლა, ერთს გადაუწყვიტა 15 წლის კატორღა, ორს—ათი წლის. დანარჩენებს მიესაჯათ ორთვიდან სამ წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

—

გამოვიდა ცალკე წიგნათ ხუთმოქმედებიანი დრამა „დამარცხებული“, ვ. ირეთელისა. ფასი 30 კ.

რუსეთში.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ლოძში—სამს, სევასტოპოლში—ერთს.

—

სიკვდილით დასაჯეს: უფაში—ხუთი, სევასტოპოლში—ერთი.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: უფაში—ორს, კიევში—ერთს, პოლტავაში—სამს, ეკატერინოსლავში—ორს, რიგაში—ერთს. სიკვდილით დასაჯეს რეველში ლეხმუსი.

—

პეტერბურგში ნევის პროსპექტზე 24 მაისს გენერალმა ვ. გურკომ სცემა უბნის ზედამხედველს, (ოკოლოდოჩნიკს) რომელმაც შეაჩერა გურკოს ეტლი ნაბერეჟნი ქუჩაზე და კუჩერს უბრძანა სხვა გზით წასულიყო. გენერალი გაჯავრდა, ჩამოვიდა ძირს, ხელი ჰკრა პოლიციელს, შეხტა თეითონ კოზლაზე, უბნის ზედამხედველს „კნუტი“ უჭირა და გაუდგა გზას. პოლიციამ ამ საქმეზე ოქმი შეადგინა და სასამართლოს გადასცა.

—

გაზ. „რუსი“ დააჯარიმეს 1,000 მანეთით.

—

ის აფერისტი, რომელმაც ამას წინათ ქ. ოდესაში ცნობილ ბოქაულს, მიქიაშვილს გარადავოები მოსთხოვა, ვითომ ერთი საეკვო ბინის გასაჩხრეკათ და მართლაც გაჩხრიკა როტმისტრის სახელით ვიღაც მდიდარი ქალის ბინა, საიდანაც მან 400 მანეთი წაიღო, აღმოჩნდა ოდესის საიდუმლო პოლიციის ყოფილი აგენტი. („რეჩ“).

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—ხუთს, ლოძში—რვას, ოდესაში—ერთს, პენზაში—ორს.

—

სიკვდილით დასაჯეს: ლოძში—ოთხი, ოდესაში—ერთი, უფაში—ხუთი.

—

ქ. მინსკში შეაჩერეს გაზ. „ოკრაინა“; მოსკოვში დააჯარიმეს გაზ, „რული“ 500 მან.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—ორს, ლოძში—სამს, ოდესაში—ერთს, ვილნოში—ერთს, უფაში—ერთს, ეკატერინოსლავში—ერთს.

—

სიკვდილით დასაჯეს: ლოძში—სამი, ეკატერინოსლავში—ერთი.

ლოძის გენერალ-გუბერნატორმა დაადგინა განაჩენი... დაისაჯოს 16 წლის ყმაწვილი „როზგით“.

—

კანევსკის მაზრის სოფ. მედვინიდან გადაასახლეს 116 გლეხი ოლონეცკის გუბერნიაში.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: უფაში—ერთს, ოდესაში—ერთს, ვარშავაში—ექვსს, ლოძში—ერთს, ხარკოვში—ორს.

—

სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში—ერთი, ლოძში—ოთხი.

—

პეტერბურგში შეაჩერეს გაზ. „სვაბოდნია მისლი“; ვარშავაში დააჯარიმეს 200 მან. გაზ. „გოლოს ნაროდა“, სარატოვში—300 მან. გაზეთი „სარატოვსკი ვესტნიკი“.

—

სიკვიდილი მიუსაჯეს: სამარაში—ოთხს, ვარშავაში—შვიდს, პოლტავაში ერთს.

—

სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში—ოთხი, ლოძში—ოთხი.

—

სარატოვისა გაზ. „იუჟნი ტელეგრაფი“ დააჯარიმეს 200 მანეთით.

უცხოეთში.

სპარსეთის მთავრობამ თბილისში გამოუგზავნა რუსეთის მთავრობას 50,000 მან., როგორც წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

—

ბერლინიდან მოსულ ცნობებით თეირანში მდგომარეობა სერიოზულია; რუსეთის ჯარი საზღვარზე დგას და მზათ არის სპარსეთის ტერიტორიაზე გადავიდეს.

—

თეირანი ეხლა ტელეგრაფით მხოლოთ ასხაბადთანაა დაკავშირებული, სხვა გზით ის მოწყვეტილია დანარჩენ პუნქტებს; შაჰის წინააღმდეგ გამართულ აგიტაციაში უმთავრესი მონაწილეობა მიუღიათ რამდენიმე წარჩინებულ და გამოჩენილ პირს, რომლებიც შაჰის ბრძანებით დაატუსაღეს. შაჰმა გამოსცა „დასხათი“ (რწმუნება), რომლითაც ის ცდილობს დააჯეროს ხალხი, ვითომ ის ერთგულია იმ კონსტიტუციის, რომელზედაც მან ფიცი დასდო. ამ რწმუნებამ ხალხში შაჰისადმი დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

—

სპარსეთი. რუსეთის მისიამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო უკიდურესი რეაქციონერი, რომელსაც ხალხი სდევნიდა. ამ გარემოებამ გამოიწვია თეირანში ძლიერი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. შახი მთელი თავის ერთგული ჯარით გავიდა ქალაქიდან. ენჯუმენის კრებამ მთელ ღამეს გასტანა თავრიზში. შედგა ძლიერი პარტია, რომელიც თხოულობს ადერბეიჯანის გამოყოფას და მის სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას. ადერბეიჯანი ჩამოშორდა სპარსეთს და აირჩია დროებითი მთავრობა. ქალაქი სავსეა პროკლამაციებით. ზოგი ფურცლები მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ; ზოგი მოუწოდებს ხალხს სახალხო მილიციის შესადგენათ. იხურება დუქნები. ქალაქში აღელვებაა. მდგომარეობა ამ წამს ძალიან საფიქრებელია. რუსეთის გავლენის სრული დამარცხებაა. უბრუნდებით გრიბოედევის დროს. რუსეთის მისიამ თეირანში თავის ორჭოფი პოლიტიკით ძალიან დასცა რუსეთის პრესტიჟი. მან ხალხი მეტათ გააბრაზა და ააღელვა. ხალხი შეიარაღებულია მაუზერებითა და მონლიხერებით. რუსეთის კალონია ძლიერ დაფიქრებულია. შეწყდა მოძრაობა თეირანისა და ორივე ინდოეთის ტელეგრაფებს შორის. ვაჭრებში გავრცელებულია ხმა, რომ თეირანში დიდი არეულობა უნდა იყოს. „Нов. Время.“

მშვიდობით!

მთვარევ, წამიყვა!

—

მთვარევ, წამიყვა,—გარდამაცილე
ბედუკულმართსა სამშობლო მხარეს,
გარდამაცილე და ამაცილე
ტანჯულთა კვნესას და სიმწუხარეს.

ქარო, დაჰქროლე,—ღრუბელთ სრიალით
გადმასერინე უცხოთ სამყარო,
ეგებ იქ მაინც გულის სიამით
სათუთსა რწმენას კვლავ დავემყარო.

გაშალე აფრა, ოჰ, განმაშორე
დანგრეულ ქვეყნის ჩაფერფლილ კერას.
მწარ-მოგონებაც ჩამოაშორე
სამსალა-ნარევ შავ ბედისწერას.
იქ შხამ-ნაღველად ჩანთხეულია
გაშმაგებულთა სისხლი და ცრემლი,
და იმ ნაღველში ჩანაცრულია
ერის გულისთქმა, მარად საცრემლი.
ვერა, ვერ ვუძლებ ყუჩათ მის ცქერას,
ბოღმა და გესლი გულში გუბდება:
ეჰ, რაღა ჩაჰკლავს მწარ გულის-ძგერას,
როს ტურფა მდელო არ ბიბინდება!
ცხოვრების ბაღმა დაიყვავილა,
ადრე ჩამოსჭკნა ქორფა კოკრები,
მებრძოლთა რაზმმაც ვერ იყვავილა,
უდროთ გასცვივდა მწვანე ფოთლები.
მოდუნდა მაჯა ჩანავლდა ბრაზი,
რისხვა ჩამქრალა ერის კერაზე,
შეირყა რწმენა, სათუთი, ნაზი,
ჭირხლს დაუთრთვილავს ალმაფრენაზე.
მთვარევ, ხომ ხედავ, არსად არ მოსჩანს
განგმირულთ ძეგლი, წმინდა სამარე,
მახვერპლი მსხვერპლს მისდევს, ბოლო არ
უჩანს...
წამიყვა, მთვარევ, დამასამარე!

პარიზი. **ნარ-კანი.**

პატარა ტალღები დიდ ზვირთებში.

ზღვა ღელავს, ტალღა ტალღას ეკეცვის,
ერთი მეორეს გულს ჩაჰხვევია,
ზვირთი ზვირთს მისდევს, ზვირთი ზვირთს ებრძვის,
გემს მოდუნებულს გზა არევია!
ეხევა ანძა, დაჰკარგა ღუზა,
ამაოთ ეძებს ის ნავთ-საყუდელს,
ამაოთ ებრძვის ძრიელ გრიგალსა,
ზვირთი მინგრევს მის ბებერ კედლებს.
დიახ, ასეა, ზვირთი თავისას გაიტანს, ის ქარს გაატანს მოძველებულ გემის ნაფოტებს, მაგრამ ამ გოლიათ ზვირთთა ბორგვაში ჩვენს ყურს ხშირათა სწვდება ხოლმე საშინელი ამონაკვნესი პატარა ტალღებისა. ვინ ამბობს იმას, რო ჩვენ უპირველესათ არ გვაინტერესებდეს უფრო მჭუხარე ხმა ზვირთებისა მობერებულ გემის კედლებზე, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რო დიდი ამონაკვნესი პაწია ცრემლის შედეგია, რო გოლიათი ზვირთი პატარა ტალღების შენაერთია. და აი მეც მკითხველის ყურადღება ცხოვრების ამ პაწია ტალღებს მინდა მივაქციო.

* *
*

მაშ დავიწყოთ დიდი ქურუმებიდან, რომელთაც ხელში უკავიათ თბილისის ხორცი და სული, და პაწია ადამიანებიდამ, რომელნიც მათ თვისი გულკეთილობით უშვილნიათ. პირველთა სიგმირის აღსანიშნავათ გავიხსენოთ აგრეთვე სოლოლაკის მთაც, რომელსაც ესენი დაეტაკნენ, რათა განსჭვრიტონ იგი და სოლოლაკის მდიდარს დარბაზებს დაუახლოვონ უტურფესი ბაღი; რასაკვირველია, ამოტელა მთის შეტოკება ისე არ მოხდება, რო არ შეინძრეს ქალაქის კასა და მასთან ერთად მოქალაქეთა ჯიბეც, მაგრამ სამაგიეროთ ბოტანიკური ბაღის სურნელება დაატკბობს სოლოლაკის ფუფუნების შვილთ. ტაში და ვაშა მათს განმსჭვრეტელობას! ვისგანაც ჯერ არ მიიღებენ კიდეც ამას, მაგრამ მოვისმინოთ დიდი გვამების კი არა, არამედ პაწია ადამიანების მათდამი მიმართული ტაში და ვაშაც: ამ სოლოლაკის მთის იქიდამ, რომელსაც დასტაკებიან ქალაქის მამები, იქ სადაც ამ ორმოცი წლის წინეთ გაისმოდა გრ. ორბელიანის ჩანგი: „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარო“ დღეს ქარხნების საყვირნი გვახმაურებენ, ქშინავენ მანქანები და მათს ხმაში ვიღაც ეშმაკურათ ღიღინებს: „მე ვქეიფობ, შენ ფეხებზე მკიდიხარო“. აი რასა სწერენ ეს ქარხნის ორთქლში გამოხარშულნი, და მოღიღინე და მაც აბუჩათ აგდებულნი პაწია შვილები თვის მამებს: „დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რო ქალაქის გამგეობა ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის დედის ნაცვალი. ყველაფერი, რაც მის მიერ კეთდება, კეთდება იმ ანგარიშით, რომ სასარგებლო იყოს სოლოლაკისთვის და ვერისათვის... ჩვენ ვართ ყურმოჭრილი მოხარკენი ქალაქის აგენტებისა, ვინაიდგან ორჯელ მეტს გვახდევინებენ, ვიდრე ეკუთვნის ჩვენს ავლა-დიდებას და ამავე დროს ორთაჭალის ქარხნის რაიონის მცხოვრებთ არა გვაქს არც წყლის მილი, არც მოკირწყლული ქუჩა, არც ქანქანა სიბინძურის ჩასაშვებათ, არც განათება“.

დიახ, ამნაირი განცხადება წარუდგინეს თბ. გამგეობას ორთაჭალელებმა, მაგრამ ამაოთ. ისინი უფრო მალე დაეტაკებიან იალბუზს, ვიდრე მათ თხოვნას შეასრულებენ.

სოლოლაკო ზედ წამწამზე მიზიხარ,
ორთაჭალავ, შენ ფეხებზე მკიდიხარ!

აი მათი პასუხი და ესაა მათგან მოსალოდნელი. ასეც იქნება, ვიდრე გერი არ გაიზრდება და დედინაცვალს თვალში ნაცარს არ შეაყრის.

*
* *

სწორე მოგახსენოთ ეს ვერაფერი ნუგეშია ორთაჭალელებისთვის, მაგრამ რას იზამ. ტყუილ იმედს მწარე სინამდვილე სჯობია. იანვრის სიცივეში რომ თვალები დახუჭო და გაზაფხული მოიგონო, ამით მაინც ვერ გათბები. ან რისთვის უნდა გაგვიკვირდეს დედინაცვლებისაგან თავში ცემა, როდესაც თვით ჩვენ ვუბარკ ყუნებთ ერთმანერთს, როდესაც თვით ჩვენ ვწიხლავთ თვით ჩვენს საქმეს. „სადვ. ბალაჯარის რკინის გზის მუშებს—სწერენ გაზ. „ნაპერწკალს“,—ჰქონდათ პროფესიონალური კავშირი. ასე თუ ისე საქმე მაინც კარგათ მიდიოდა, მარა ცოტა ხნის შემდეგ ზოგიერთი ამხანაგების გულგრილო-

ბამ კავშირი თანდათან დაასუსტა დაბოლოს კიდეც გაქროვო“. მერე რა მოჰყვა ამას? ის რაც უნდოდა კავშირის მტერს. საუკეთესო მუშების დათხოვნა, ფასის დაკლება, სამის ადგილზე ერთი მუშის მუშაობა, დაკარგვა ყველა იმ უფლებებისა, რომელიც ქარ-ცეცხლით მოიპოვეს. „გულგრილობამ“ დამალა კავშირი და თვისი თავი თვითონ დაამარცხა.

წავიკითხოთ მეორე წერილი, რომელსაც ამავე გაზ. სწერენ რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან:

„ადმინისტრაციიდან თითქმის ყოველ უფლებას მოკლებული შეგირდები „მუხრუჭს“ განიცდიან ამხანაგებიდანაც. როდესაც ესა თუ ის შეგირდი ათავებს შებირდობას, მას აძლევენ ეგრეთ წოდებულ „პრობს“; თუ ის ღირსეულათ შეასრულა, ადმინისტრაციიდან ნება აქვთ ბოძე'ული 1 მან. 20 კ. დაუნიშნონ ამხანაგებმა (ეს უფლება ოქტომბრის შემდეგ აქვთ მოპოებული მუშებს). მარა საუბედუროთ ამ უფლებით ვერ სარგებლობენ. მთელ სახელოსნოში არ მოხდარა მაგალითი, რომ ვისმესთვის 1 მ. 20 კ. დაენიშნოთ. ნუ თუ ვერავინ ვერ მააკეთა „პრობი“ ღირსეულათ? ზოგიერთ ნაწილებში ერთი არა სასურველი ჩვეულებაა: მაგ. როცა შეგირდი ათავებს შებირდობას, მას ზოგიერთ ბრიგადაში მომუშავე მოვალეთ რაცხს, რომ ამხანაგები დაპატიჟოს და „კნოპკა“ გამართოს, თუ სურს კარგი ჯამაგირი დაუნიშნონ, მარა არც ამ „კნოპკით“ მოსყიდულნი მინახავ', რომ დიდი ჯამაგირი დაენიშნოთ შეგირდისთვის. აკორდმა ისე გაიტაცა ჩვენი ზოგიერთი მუშები, რომ ლამის ყოველივე უფლებები გაუშვან ხელიდან როგორც ახლათ გათავებულ შეგირდების 1 მ. 20 კ. დანიშვნა და ყველაფერი დაივიწყონ.

„აგრეთვე როცა უფროსი იღებს ამა თუ იმ ჩილინგარს, მისი ჯამაგირის დანიშვნაც მუშების უფლებაა. ნება აქვთ 1 მ. 50 კ.-მდე დაუნიშნონ, მარა არც ეს ხდება. ამას წინათ მიღებული კაცები ჯერ ორი-სამი თვე აწვალეს. ადგილი არ მისცეს და მერე თუმცა შეეძლოთ, მარა 1. 50 კ. არავისთვის არ დაუნიშნავთ. რას ნიშნავს ყველა ეს? აი სადამდი მიგვიყვანა ჩვენ აკორდმა, როცა ჩვენ ვთელავთ ფეხქვეშ ჩვენს უფლებებს რაღა გასაკვირალია ამის შემდეგ ადმინისტრაციამაც ზედ მეტი გვიყოს?“

მოკლეთ რომ ვსთქვათ არა ნაკლები მამინაცვალნი ყოფილან ძველი მუშები შეგირდების შესახებ და მასთანვე ოთოთაანთ ქორებიც, რომელნიც გარეშეზე თვალსა ხუჭვენ და შინაურს უნისკარტებენ.

*
* *

მაგრამ არიან სხვა ჯიშის ქორებიც, რომელნიც კარგათ არჩევენ თვისას და სხვისას, რომელნიც მსხვერპლს თავისივე ბურტყლით უბნელებენ თვალებს. ამისთანა ქორის კლანჭებშია დღეს სხვათა შორის მთელი ქართლი. ამ ჟამათ გორის მაზრის სოფლებში 19 მამასახლისია მთავრობიდან დაყენებული. მათ განკარგულებაშია 81 „სტრაჟნიკი“. თვის შრომისათვის ისინი იღებენ წელიწადში საერთოთ 32,612 მანეთს. სოფლის მწერლები 9,720 მ. სოფლის გზირები 12,960 მ. სოფლის სამმართველოს „სტოროჟები“, შენობის გათბობა, სანთელი, და სხვა ხარჯი 6,480 მან. სულ ერთათ ქართლს „მშვიდობიანობის დამცველნი“ უჯდება წელიწადში 61,772 მან. მჭერმეტყველება ამ ციფრებისა არა საჭიროებს განმარტებას. ხოლო ეს ციფრი უფრო მეტს გვეტყვის თუ იგი გავანაწილეთ ქართლის დამშეულ გლეხის ზურგზე მამასახლის-სტრაჟნიკების მათრახებით; სოფელ გომში ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალთან ურმით მიიტანეს მამასახლისის მიერ ნაცემი გლეხი. მიზეზი ცემისა ისა ყოფილა, რომ გლეხს არ მიურთმევია მამასახლის-სტრაჟნიკების ცხენებისთვის საკვები. მომრიგებელ-შუამავალმა შეადგინა პროტოკოლი და გლეხი გაგზავნა მაზრის უფროსთან. ადვილი გასაგებია, რა სასჯელი მიიღო მამასახლისმა, ვინაიდან მანვე იმავე მომრიგებელ-შუამავალის წინ რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გაამათრახა რამდენიმე გლეხი. ეს შემთხვევაც ეცნობა მაზრის უფროსს, მაგრამ რა ჯილდოზე წარადგინეს გულადი მამასახლისი ჯერ არ იციან, ხოლო მისი მათრახი კი კვლავ თავისუფლათ სეირნობს გლეხებზე. ამგვარათ 19 მამასახლისის და 81 სტრაჟნიკის მათრახი ქართლს შეასყიდეს მის „მშვიდობიანობის“ დასაცველათ წელიწადში 61,772 მანეთათ.

*
* *

და თუმცა ასე ძვირათ უჯდება თვისი დამცველნი მას მაინც ნადირი შეჰპარვია. უკეთ რომ ვსთქვათ შევარდნია და მერე ისეთი, რომ სხვა მისნი მოძმენი მასთან შედარებით კრავებათ გეჩვენება. უტყუარ საბუთებიდან ვიცით, რომ ამ წლის თებერვლიდამ აქამომდე, რაც ტყე შეიფოთლა თავად გიორგი ოთარისძე ამილახვარს დღისით-მზისით ყველას თვალწინ წარუტაცნია:

სოფ. ვაშლოვანიდამ	ცხვარი	7.
„	ღორი	7,
„	ფული	1 მ.
სოფ. გარუბანიდამ:	ხარი	2.
„	ძროხა	2.
„	ცხვარი	4.
სოფ. ბეჟანტყიდამ:	თხა	5.
„	თიკანი	2.
„	ცხვარი	14.
„	ფული	5 მ.

სოფ. წუბენიდამ თავის მოურავ იოსებ ყანჩაველისთვის მოუტაცინებია:

ძროხა	1.
დეკეული	1.
ცხვარი	9.

ადგილობრივ ყელი გამოუკრია 3-სთვის, ხოლო არა სჩანს ძროხისთვის თუ ვისთვის. ფულათ წაუღია 9 თუმანი.

სოფ. არმაზი დაუხარკავს კომლი 36 თუმნით.

ჯამი რომ შევაყენოთ ნადირს ქართლიდამ ორი თვის განმავლობაში წაუღია 73 სული საქონელი და 161 მან. ფული. ხანში შესული გლეხები ამბობენ, რომ ჩვენს სიცოცხლეში არ გვახსომს, რო ამ ნაირი ფოცხვერი შემოსწროდეს სოფელსო. მის ამალის მიერ გლეხების ცემა-ტყეპა, ქალების გაუპატიურებას და სხვა ათასგვარ საზიზღრობასთან შედარებით ფერი ეკარგება ჩემმიერ მოყვანილ დაღუპულ საქონლის რიცხვს.

ჩახმახი.

სახელმწიფო დუმა.

27 და 29 მაისის სხდომაზე დუმამ განიხილა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

მომხსენებელმა **გუჩკოვმა** (ოქტომბრისტია) საგნის არსებითი მხარის გამორკვევის შემდეგ მან სხვათა შორის სთქვა: „ჩვენი სამხედრო დიდების დაღუპვა ჯარს სრულიათაც არ დაბრალდება; ამ უბედურების მიზეზი პირველათ, თვით ჩვენი ცენტრალური მთავრობაა, მეორეთ სხვა და სხვა გარემოებანი; ჩვენ ჯარს და მათ ხელმძღვანელთ ორნაირი ომი ჰქონდათ გამართული: ერთი მხრივ ისინი ებრძოდენ იაპონელთ, მეორე მხრივ კი პეტერბურგის სამხედრო სამინისტროს კანცელარიებსო. მეორე შეცდომა, ორატორის აზრით, ჩვენი ცენტრალური მთავრობისა — ეს პორტსმუტში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებაა. თვით ჯარსაც დიდი ნაკლი აღმოაჩნდა: მას არ ჰყავდა გამოცდილი სარდლები და ჯარის მაღალ წრეებში გამეფებული იყო ნათლიმამობა, ძმაბიჭობა, დამქაშობა და სასახლესთან ჩურჩული, რაც დღემდის არ შეწყვეტილა.

რაკი სახელმწიფო წყობილება დღეს გამოიცვალა, გუჩკოვის აზრით, სიჭიროა სამხედრო უწყებაც ამის თანახმათ მოეწყოს და ჯარში სამინისტრომ რეფორმა მოახდინოს (ტაშის ცემა და ვაშას ძახილი); მართალია სამინისტრო უკვე შეუდგა რეფორმას, მარა დღემდის მას გაბედული ნაბიჯი არ გადუდგამს. ჯარს კი დღეს ბევრი რამ სჭირდება: საჭიროა აფიცრებს ჯამაგირი მოემატოს, საჭიროა ჯარის შენახვის და ხარჯების წეს-რიგი შეიცვალოს, კაზარმების ცხოვრება მოწესრიგდეს, საჭიროა მოხდეს არტილერიის რეორგანიზაცია და სხვა და სხვა ასეთები, რისთვისაც ერთდროულათ უნდა გადიდოს 2153 მილიონი მანათი და ყოველ წელს კი 150 მილ.

ასეთი რეფორმის განხორციელება კი ძალიან ძნელდება ფულის სიმცირის გარდა იმ გარემოებითაც, რომ დღეს ჯარს სათავეში უდგანან დიდი მთავრები და ისინი თავის მდგომარეობით არა პასუხის მგებელნი, აწარმოებენ მეტათ საპასუხისმგებლო საქმეებს. საჭიროა და უფლებაც გვაქვს მოვითხოვოთ ამ გარემოების თავიდან აშორება, რომ ნივთიერათაც გაღონიერდეს სამხედრო ბიუჯეტი და ჯარშიაც ბოლო მოეღოს იმ დემორალიზაციას, რასაც დღემდი ადგილი ჰქონდა ჩვენს სახელმწიფოში. (ყველა სკამებზე, გარდა უკიდ. მემარჯვენ, ტაშის ცემა).

გუჩკოვს **უპასუხა სამხედრო მინისტრმა,** რომელმაც აღიარა, რომ მომხსენებლის კრიტიკა, სამწუხაროთ, მართლაც სამართლიანიაო. რაც ჯარს დღეს ჭირდება ეს სამინისტრომ ძალიან კარგათ უწყის, მარა ის საშუალებას მოკლებულია; მომეცით საკმაო ფული და სიამოვნებით შეუსრულებ ჯარს ყოველივე დანაკლისსო, განაცხადა მინისტრმა. ჯარის ყოველ გვარ საჭიროებისათვის დღეს მინისტრის აზრითაც 2 მილიარდია სიჭირო, მარა რადგან რუსეთს ამდენი ფული არ მოეპოვება, ამიტომ ეხლა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას ჯარის მხოლოთ აუცილებელი და მწვავე მოთხოვნილებანი, რისთვისაც საჭირო იქნება 300 მილიონი მანეთის გადადება მაინც. ჯერ დავაკმაყოფილებთ ამ მოთხოვნილებებს და მერე შეუდგებით ჯარის რეორგანიზაციას, რაც მართალია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მარა უნდა აღვიაროთ, რომ დღეს შეცვლა ყოველივე იმისი, რაც არსებობს ძალიან სახიფათოა. **მხოლოთ მტკიცე თანდათანი მოქმედებით შეიძლება,** დაასრულა თავისი სიტყვა მინისტრმა, **სახელმწიფო დაცვის საქმე დაადგეს საიმედო და შეურყეველ გზას.** (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრშიაც).

მინისტრის შემდეგ სხვათაშორის ილაპარაკეს ტრუდოვიკებმა და სოც. დემოკ. წარმომადგენლებმაც.

ლიახნიცკიმ (ტრუდ.) განაცხადა, რომ ტრუდოვიკების აზრით, სასურველია ჯარს არ ევალებოდეს პოლიციური სამსახური, არამედ ის მუდმივათ უნდა ემზადებოდეს სახელმწიფოს გარეშე მტერთაგან დასაცველათო.

სოც. დემოკრ. წარმომადგენელმა **ბელოუსოვმა** სთქვა, რომ ქვეყანა ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს გაუმაძღარ მილიტარიზმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. სამხედრო ხარჯები ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე ბურჟუაზიული სახელმწიფო არსებობს, სამგლოვიარო „ზარი“ ქვეყნის პროგრესისათვის. მუდმივი ჯარი მხოლოთ ბურჟუაზიას ჭირდება დღევანდელ სახელმწიფოში; სოც. დემოკრატია საჭიროთ ცნობს მოისპოს მუდმივი ჯარი და მის ნაცვლათ **დაარსდეს სახალხო მილიცია.** ამიტომ ს. დ. სულ ერთიანად უარჰყოფს სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. კამათი შეწყდა. დუმამ დაამტკიცა უცვლელათ სამხედრო სამინისტროს მთელი ხარჯთ-აღრიცხვა. ამავე სხდომაზე მიიღო დუმამ კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო კანონპროექტი.

30 მაისის სხდომაზე დუმა თოთხმეტი სხვა და სხვა წვრილმანი და უმნიშვნელო კანონპროექტის მიღების შემდეგ შეუდგა ისევ კამათს ერთ მეტათ საყურადღებო კანონპროექტის შესახებ, რომელიც წინა კრებაზე წარმოადგინა 39 წევრმა, **„დუმის გლეხთა ჯგუფმა“.** ამ კანონ-პროექტით უნდა შეიცვალოს არსებულ კანონმდებლობის ის სტატიები, რომლებიც შეეხება გლეხთა საერობო გადასახადებს და ნატურალურ ბეგარას; კანონ პროექტის აზრით საჭიროა აგრეთვე გლეხთა უფლებრივი გათანასწორება სხვა წოდებებთან.

ამ კითხვაზე ჩაეწერა 54 ორატორი. ილაპარაკეს შინაგან და ფინანსთა მინისტრების ამხანაგებმა; მათი აზრით ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია ასეთი ცვლილების შეტანა კანონმდებლობაში; შემდეგ სესიისთვის მთავრობას მაინც განზრახული აქვს ამ გვარი კანონპროექტები წარმოუდგინოს დუმას და გადაწყვეტილია ცხოვრებაშიაც გაატაროს.

თითქმის მთელი დუმა, გარდა ზოგ მემარჯვენე ორატორებისა, ერთხმათ მოითხოვს, რომ ეს კანონპროე-

ქტი დაუყონებლივ გადაეცეს შესამუშავებლათ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შედგება 44 კაცისაგან.

ოქტომბტრისტების სახელით **შიდლოვსკი** აცხადებს, რომ ფრაქციას არ სურს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ კანონპროექტს და თუ მაინც და მაინც დუმას ნებავს ამ საქმისთვის განსაკუთრებული კომისიის არჩევა, დეე აირჩიოს, მარა ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ ეს კომისია მხოლოთ სახელისთვის დარჩება და არა საქმისთვის, ვინაიდან მას დუმის მომავალ სესიამდე მუშაობა არ შეეძლება.

ს. დ. ფრაქციის ორატორმა, **ბელოუსოვმა** კი სხვათა შორის სთქვა: „იცის რა სოფლის დღევანდელი საშინელი მდგომარეობა, სოციალდემოკრატია მიესალმება მესამე დუმის „გლეხთა ჯგუფის“ ხმას, რომლითაც ის მოითხოვს ბატონყმურ ბორკილებიდან რუსეთის გლეხკაცობის დახსნას.“ ფრაქციის აზრით; აუცილებლათ საჭიროა დაუყოვნებლივ არჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ამ მართლაც და მეტათ საყურადღებო საკითხს.

კომისიის არჩევას მხარი მისცა დუმის ყველა ფრაქციამ; წინააღმეგი ილაპარაკეს მხოლოთ მთავრობის წარმომადგენლებმა და ორიოდე მემარჯვენე ორატორმა. მემარჯვენე ფრაქციათა დეპუტატები მხარს უჭერდნენ კანონპროექტს და იმავე დროს ერთი მხრივ თანხმობას უცხადებდენ მთავრობის წარმომადგენლებს, მეორე მხრივ სასტიკათ კიცხავდენ კადეტთა ორატორებს (შინგარევს, როდიჩევს), რომლებიც დიდი რიხით უცხადებდენ თანაგრძნობას გლეხთა გათანასწორების იდეას.

კამათი დასრულდა, მარა, რადგანაც კვორუმი არ დარჩა, ხმის მიცემა გადაიდო შემდეგი კრებისთვის.

4 ივნისის სხდომაზე დუმას სხვათა შორის კამათი ჰქონდა ერთი საყურადღებო კანონპროექტის გამო, რომელიც შეეხება ქ. მოსკოვში გენერალ შანიავსკის სახელზე სახალხო უნივერსიტეტის დაარსებას.

ეს კანონპროექტი კარგა ხნის შემდეგ დასრულებულ იქნა კომისიაში სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სამგვარი ცვლილებით, რაც საგრძნობლათ ასუსტებს და ასხვაფერებს წინანდელ კანონპროექტის შინაარსს. სამინისტროს ეხლანდელი კანონპროექტით აკადემიური თავისუფლება, რაც სახალხო უნივერსიტეტში უნდა დამყარებულიყო, სრულიათ უარყოფილია. მიუხედავათ ამისა ამ კანონპროექტის მიღებას დასთანხმდა, როგორც დუმის კომისია, ისე შემომწირველის წარმომადგენელი, ვინაიდან ამას მოითხოვდა მათი აზრით ქ. მოსკოვის და ხალხის ინტერესები.

მომხსენებელს პასუხი მისცა **სახალხო განათლების მინისტრმა**, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია და ცვლილებები არ შეეტანა ისეთი საქმის კანონპროექტში, როგორსაც წარმოადგენს შანიავსკის უნივერსიტეტი და რომლის მსგავსი დაწესებულება არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც არ მოიპოება. ცვლილებების შეტანა აუცილებელი იყო, ვინაიდან როგორც უნდა იფიქროთ სახალხო განათლების სამინისტროს დანაშაულებაზე, ის მაინც ვალდებულია დაიცოს ყოველგვარ განმანათლებელ დაწესებულებაში სახელმწიფოს ინტერესები; საჭიროა ასეთი დაწესებულების მოქმედება ისეთ ფორმაში იხატებოდეს, რაც სახელმწიფოსთვის მავნებელი არ იქნება; დაწესებულების სხვაგვარი დანიშნულება და შედეგები მას სულაც არ აინტერესებს.

მინისტრის ასეთ განცხადებაზე კადეტების ფრაქციამ ერთხმათ აღიარა, რომ დუმა სამინისტროს მიერ კუთხეშია მიმწყვდეული და მას ეუბნებიან: „მოიტა ან ფული, ან სიცოცხლე და რადგანაც დაწესებულება ძალიან სატრფიალოა და საყურადღებო, ამიტომ იძულებულია—დათმოს ფული“, თუმცა ის კანონპროექტი, რომლის თანახმათ უნდა დაარსდეს ეს დაწესებულება არა თუ უვარგისია, არამედ ძირითადათ ეწინააღმდეგება შემომწირველის ნება-განზრახვას. „უვიცობის აღმოფხვრაში, განაცხადა დეპ. მაკლაკოვმა, ერთნაირათ დაინტერესებულია, როგორც მთავრობა, ისე საზოგადოება; საზოგადოებამ მოგვცა ამ საქმისთვის, რაც შეეძლო, მთავრობა კი მხოლოთ მის ჩაშლას შეეცადა!“

მემარჯვენეთა მხრიდან უნივერსიტეტს წინააღმდეგ ამხედრდენ და მთავრობის დამცველათ გამოვიდენ: დეპ. ჰურიშკევიჩი და ტიმოშკინი. ჰურიშკევიჩის აზრით სულაც არაა საჭირო დღეს ასეთი უნივერსიტეტი, ვინაიდან ის რევოლიუციონერებს ზრდის და ამით დიდ ზარალს გვაყენებს, თუ რევოლიუცია დღემდე რუსეთში ვერ იმარჯვებს, ამის მიზეზი ისაა, რომ სახალხო შკოლა ჯერ კიდევ არ გადასულა მათ ხელში, 17 ოქტომბრის შემდეგ კი ამას ძალიან ცდილობენ რევოლიუციონერები და თუ ჩვენ მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები არ მივიღეთ, რევოლიუცია 5 – 9 წლის შემდეგ თუ არა 20—21 წლის შემდეგ მაინც ისევ განმეორდება.

ტიმოშკინი კი წინადადებას იძლევა, შანიავსკის ფული სახალხო უნივერსიტეტის ნაცვლათ გადაეცეს ქალთა სამედიცინო ინსტიტუტს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „Голосъ Кавказа“-ში (№ 601) დაბეჭდილია:

„მოღალატურათ მოკლულ იქმნა უმწეო არქიეპისკოპოსი!.. ან იქნება ესეც ცილის წამებაა ჩვენი მხრით? ეხლა თქვენ ერთის მხრით დაჟინებით ალაპარაკდებით ბოროტ-მოქმედების **საზიზღროებაზე** და მეორე მხრივ, დაიწყებთ ნუბეშის ცემას იმით, რომ მკვლელები დაჭერილი არიან და მართლმსაჯულების ხელში გადაცემულნი. მაგრამ ბოლოს მაინც შეისმინეთ, რომ პირველი ფუჭი სიტყვებია და მეორე კი აღმაშფოთებელი უაზრობაა, ამის გაგება სრულებითაც ძნელი არ იქნება იმისთვის, ვინც მოიგონებს თუ რა პირობებში მობრძანდა თფილისს მოკლული მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ნიკონი. მას ქვეშევრდომმა სამღვდელოებამ დემონსტრატიულათ არ აღირსა მისი ხარისხის შესაფერი შეხვედრა; შემდეგ მასვე გამოუცხადეს ბოიკოტი. ეს იყო ისე ცოტა ხნის წინათ, რომ ამის დავიწყება ძნელია **იმათთვისაც

ვისი მეხსიერება არ აღემატება ქათმისას... ძნელი წარმოსადგენია, რომ დიდუპული ექსარხოსი **უხერხული** (неудобенъ) **ყოფილიყო „ტუზემეცისა“-თვის, რომელიც იგი მოკლეს“.** (კურსივი გოლოს კავკაზისაა).

*
* *

გაზ. „ნაბერწკალში“ (№ 5) დაბეჭდილია:

„განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ერთი არაჩვეულებრივი საზიზღარი ამბავი. ეს არის ექსარხოსის მოკვლა... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ მოქმედებს უგუნურთა კერძო შურის-ძიება; ეს საქმეა ისეთი პირების, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ არც საზოგადოებასთან და არც რ იმე პოლიტიკურ მიმართულებასთან. ეს საზოგადოების ნაძირალებია... ექსარხოსის მკვლელთა სასამართლოს წინაშე წაყენება—ერთათ ერთი საშუალებაა **ამ ჩირქის სამუდამოთ მოწმენდის და ადგილობრივ ერთა პირნათლათ გამოსვლის** (კურსივი ჩვენია). და რომ მკვლელს შესწევდეს ცოტაოდენი მაინც მამაცობა, ის რომ ლაჩარი არ იყოს—ის თვითონ გამოცხადდება და იტყვის რამ აიძულა ის ამ საქმის ჩადენა.“

.... კი მაგრამ, აქ რა შუაშია ადგილობრივი ერები?!. ბრძენო ედიბო აგვიხსენი!.. ამას ასე სწერს მხოლოთ „გოლოს კავკაზა“. მაგრამ არა, ამას „გოლ. კავკაზა“-ც არა სწერს. როცა Зак.“-ემ შეუძახა ამ გაზეთს: არ შეიძლება შეურაცყოფა მიაყენოთ მთელ ხალხს, მარტო იმისთვის, რომ ექსარხოსის მოკვლის ეშვი აქვთ „ვიღაც ორ ტუზემეცზე“, „გოლ. კავკაზამ“ უპასუხა:

„რისაკვირველია, არავის აზრათ არ მოუვა საქართველოს ექსარხოსის მოკვლა ბრალათ დასდოს მთელ ქართველ ნაციას, მაგრამ, დაბვეთანხმებით, რომ განსაზღვრული **ნაწილი „პატივისა“** მაინც ედება **მთელ ნაციას**...“ (№ 605)

.... ტერორისტულ აქტს „ნაბერწკალ“თან ერთათ ჩვენც ასტიკათ **გგმობ**. როგორც საშუალება პოლიტიკური ბრძოლისა, მკვლელობა და ეოველგვარი ძალადობა ინდივიდუალურია ეს თუ „პარტიზანული“ **დიდათ მავნეელია** თვით იმ საქმისათვის, რასაც თვით **რევოლიუციონური** პარტიები ემსახურებიან. ხოლო კერძო და პირადი ანგარიშების გასწორებლათ ნახმარი ძალადობა—და ისიც ნახმარი ქურდულათ და მიპარვით—**რომ ეოველთ საზიზღარი** და ადამიანთა ეგზაკობას ეველა იმისთვის, ვისაც სრულიათ არ დაუკარგავს ადამიანის „მსგავსება და ხატება“ ეს აშკარაა, ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ჩვენც და „ნაბერწკალი“-ც რომ დიდი ხანია ასტიკათ გგმობთ ტერორს ეს იცის ეველამ, ვისაც კი აქვს „თვალნი ხედვათ და ეურნი სმენათ“. დიახ, იცან ეველა იმათ, ვისაც რასმე გაგება უნდათ; არ იციან მხოლოთ იმათ, ვინც საბაბს ეძებს ჩვენს წინააღმდეგ, საბაბს ეძებს ხალხის წინააღმდეგ და გამართლებას ცდილობს ათასგვარ რეპრესიებისას. მაშ რადათ ავიწუდება „ნაბერწკალს“ ის მარტივი და ნათელი აზრი, რომ „უკურნებელათ ურუ არის, ვისაც არ უნდა გაგონება“...

*
* *

ი ავისიანებისაგან გულნატკენი ისლა დაგვრჩენია, რომ ვინუგეშოთ—თუ კი მოწინააღმდეგეს სიკეთე სანუგეშოა—რომ **კადეტი** იზგოევი გაზეთ „Рѣчь“-ში სომართლიანათა სწერს შემდეგ სტრიქონებს:

„კავკასია ადუღებული ქვაბია ნაციონალურ საკითხებისა, და უნდა ერთხელ და საბოლოოთ შევიგნოთ, რომ „ინოროდცების“ (არა რუს ერების) გასრესის გზაზე ჩვენ დაგვრჩა მხოლოთ ერთი ნაბიჯი—მათი („ინოროდცების“) სრული ამოწყვეტა. „ნოვოე ვრემიას“ ერთმა სულის ჩამდგმელმა, მენშიკოვმა—უნდა ეს სიმართლე მიუძღოთ მას—კიდეც იქონია გამბედაობა ეს დაელაპარაკნა. იგი ურჩევს რუსის მთავრობას სომხების საკითხში მიჰბაძოს ოსმალეთს: „მარტო ოსმალეთმა გასცა სომხების „ბუნტს“ (ამბოხებას) პასუხი ისე, როგორც ამას ითხოვდა „ბუნტის“ ბუნება... სომხების ტერორს ოსმალეთის სულთანმა უპასუხა ოსმალური ტერორით და „ბუნტიც მალე ჩააქრო“. (მენშიკოვი) ...უღრმესათ უნდა გეზიზღებოდეს საკუთარი ნაცია, რომ მას ასეთი სწორუპოვარი რჩევა მისცე... ჩვენის აზრით, უმთავრესი ბრალი „ვორონცოვის რეჟიმისა“*) იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულათ, საქმეზე მან (ნამესტნიკმა) არავითარი რეფორმები არ განახორციელა და ამიტომაც მან ვერ შეიძლო მთავრობის წარმომადგენელის გარშემო შემოეკრიბა უფრო საღი საზოგადოებრივი ძალები“.

ა, მიუდგომელი და გაბედული სიტყვები ჟურნალისტისა.

სომეხთა კათოლიკოსის არჩევის შესახებ.

როგორც „ჩვენი კვალის“ მკითხველებმა იციან, ამ შემოდგომას, ოქტომბერში მოხდება სომეხთა კათოლიკოსის არჩევა. ყველა ეპარქია აირჩევს თითო დეპუტატს, რომელნიც თავს მოიყრიან ეჩმიაძინში და აირჩევენ კათოლიკოსს. გარდა ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებისა, ყველა ეპარქიის სასულიერო წოდებას, სამღვდელოებას უფლება აქვს გაგზავნოს ერთი დეპუტატი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, ერთი ხმის უფლებით. ეს უფლება სამღვდელოებას ეძლევა „პოლოჟენიის“ ძალით. გარდა რუსეთისა და კავკასიის ეპარქიებისა, ოსმალეთის—სომეხთა, სპარსეთის—სომეხთა, ამერიკის—სომეხთა ეპარქიებსაც და სხვ და სხვა ადგილების სომხებსაც აქვთ უფლება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. საჭიროთა ვცნობთ ვსთქვათ, რომ კათოლიკოსი ირჩევა ხალხის მცირე ნაწილის მონაწილეობით, რადგანაც „პოლოჟენია“ ძლიერ ამოკლებს ხალხის უფლებას. საკათოლიკოსო კანდიდატებათ სახავენ რამდენიმე გამოჩენილ ეპისკოპოზებს:

1. კ. პოლისის (სტამბოლი) ადრინდელი პატრიარქი მატთეოს იზმირლიანს, რომელიც თავის პროგრესიულ აზრებისთვის გაგზავნილია იერუსალიმში.

ამ პატრიარქს სხვათა შორის ღვაწლი მიუძღვის, რომ 94—96 წლებში ოსმალეთის სომეხთა ჟლეტვა ძალიან არ გავრცელდა. ერთის სიტყვით სახელოვანი პირია, და ამორჩევის შანსები ყველაზე მეტი აქვს.

ამის კანდიდატურას აყენებენ ყველა პროგრესიული ელემენტები.

---

*) მენშიკოვი სწერდა, რომ ექსარხოსის მოკვლა ვორონცოვის რეჟიმის ბუნებრივი რეზულტატიაო.

2. ახლანდელი სტამბოლის პატრიარქი მალაქია ორმანიანი, რომელიც განვითარებული და დიპლომატი პირია, მაგრამ მან თავის იეზუიტურ და სულთანის წინაშე ლაქიურ ხასიათის გამო, ხალხის სიმპატია ვერ მიიზიდა. ამის კანდიდატურას ემხრობიან ყველა ნაციონალისტური და კლერიკალური ელემენტები. აქ საჭიროა ვსთქვათ, რომ სულთანს ნება მიუცია — ოსმალეთის სომხობამ მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში, მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ოსმალეთიდან მოსულმა დეპუტატებმა თავიანთი ხმა მისცენ ზემოხსენებულ პატრიარქს.

3. გარდაცვალებულ კათოლიკოსის მოადგილე არქიეპისკოპოზი სურენიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინად ქართლ-კახეთის და იმერეთის ეპარქიის უფროსად იყო. ამას ემხრობიან ყველა კონსერვატორები.

ამათ გარდა არიან კიდევ რამდენიმე პირები, რომელნიც დამსახურებულნი არ არიან.

„პოლოჟენიის“ ძალით საკათოლიკოსო კანდიდატი უნდა იყოს მხოლოთ სასულიერო წოდებიდან, მაგრამ წელს გაზ. „მშაკ“-მა აღძრა ის კითხვა, რომ უეჭველათ საჭიროება არ მოითხოვს, რომ სასულიერო წოდებას ეკუთვნოდეს საკათოლიკოსო და შეიძლება ამორჩეული იყოს პირდაპირ ხალხისაგან, რომელსაც შემდეგში მიეცემა მღვდლობა, ეპისკოპოსობა და მერმე კათალიკოსობა.

რა გზას აღგანან პარტიები?

1) რა თქმა უნდა რომ ყველა კონსერვატიული, კლერიკალური და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელები გახურებულ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, რადგანაც ისინი კათალიკოსს სცნობენ ერის თავათ, რომლის უფლებები უსაზღვროა. ამათ ეძახიან ნორდ-არაკანებს.

2) ცრუ ლიბერალები, ესე იგი „მშაკის“ მომხრენი თუმცა ლიბერალურ სარჩულს იკრავენ და იძახიან რომ კათალიკოსის უფლებანი განსაზღვრულია, მაგრამ ეს მხოლოთ სიტყვაა; ესენი თავიანთ აზროვნებით იმავე გვარის ნაციონალისტები არიან, და ემზგავსებიან იმ ყვავს, რომელსაც ფარშევანგის ბუმბული ასხია, რადგანაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ საკათოლიკოსო არჩევნებში.

3) დაშნაკცაკანები თუმცა ოფიციალურათ მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში, მაგრამ ასე თუ ისე კათოლიკოსის მომხრენი არიან, რადგანაც კათოლიკოსს სცნობენ იმ პიროვნებათ, რომელმაც სომეხთა კითხვა უნდა აღძრას ევროპის დიდ სახელმწიფოების წინაშე.

ეს ცრუ-სოციალისტები ორ ბანაკათ არიან გაყოფილი; ერთი მათგანი ბოიკოტის მომხრეა. ესენი ს.-რ. აზრს აღგანან.

4. ჰანჩაკისტები, როგორც ს.-დემოკრატიულათ მოაზრენი, ბოიკოტის მომხრენი არიან, რადგანაც ამ გვარი მონაწილეობის მიღება იმათი აზრით აბნელებს პროლეტარიატის თვით-ცნობიერებას.

5) სომეხი ს.-დ.-ბი ჰანჩაკისტების აზრს აღგანან და ბოიკოტს უცხადებენ.

ერთი სომეხი.

მასწავლებელი.

(მოთხრობა,)

I

დილის ათი საათი იქნებოდა; მოკრიალებულ და ლურჯათ მოკამკამე ცის კამარაზე მზე კარგა მაღლა ამოცურებულიყო და თავის გამომაცოცხლებელ სხივებით თბილისსაც თვალწარმტაც ნათელსა ჰფენდა.

გაზაფხულის პირი იყო; ბუნება ახლათ იღვიძებდა; ის თანდათანობით მწვანე ხავერდით იმოსებოდა და ნაზ ყვავილებათ იფურჩქნებოდა. თბილი ჰაერი საამურ სურნელებით იჟღენთებოდა. ახლათ მოფრენილ ფრინველთ სიხარულით ჟრიამული გაჰქონდათ და მწვანე ნორჩ ფოთლებით შემოსილ ხის ტოტებში განუწყვეტლივ ფთხრიალობდენ.

გაზაფხულის ნელი ნიავი აქეთ-იქით ცელქათ დაჰქროდა, დასისინებდა და აფერადებულ ყვავილებს რაღაც იდუმალათ ელამუნებოდა; ის ხან აქ უცბათ შეარხევდა ყვავილებს, ხან იქ ააშრიალებდა ხის ფოთლებს და შემდეგ სადღაც მიიკარგებოდა. აღვართქაფებული და ამღვრეული მტკვარი ვიწრო კალაპოტს აქეთ-იქით აწყდებოდა და გაშმაგებული ღრიალებდა; კლდის ნაპრალებს, ხიდის ბურჯებს და მის ნაპირებზე ამართულ სახლების კედლებს ის გაალმასებული ეხეთქებოდა და აქაფებულ ზვირთებს ზვირთებზე მრისხანეთ მიერეკებოდა.

სიცოცხლით, სიმშვენიერით და სიკეკლუცით აღსავსე ბუნება მხიარულობდა და თავის მადლიან კალთაში გახვეულ ყველა ცოცხალ არსებათ თავის მომჯადოებელის ზე-გავლენით ხიბლავდა. თავის დიდებულის და მადლიანის კალთით უხვათ დაჯილდოვებულ და სანეტარო, მაგრამ უკულმართ ცხოვრების პირობებისაგან მოშხამულ ადამიანის არსებასაც ის რაღაც სასიცოცხლო ნექტარს ჰმატებდა და ახარებდა. მდიდარი და ხელგაშლილი ბუნება მასაც ანდამატივით თავისკენ იზიდავდა და მის პატარა, მაგრამ ზღვაგულს ზე-შთანაბერი მაღალი გრძნობებით ატკბობდა და სასიამოვნოთ აღელვებდა.

ქალაქის განაპირათ, გორაკების ფერდოებზე შეფენილ ღარიბ უბნის ერთ პატარა სახლის აივანზე — საიდგანაც მთელი უზარმაზარი ქალაქი ხელის გულივით მოსჩანდა — ნიკო რთველიაშვილი სკამზე ჩამომჯდარიყო და შორს ცის სივრცეში ნაღვლიანათ გაიცქირებოდა.

მის დაღარულ, შეჭმუხვნილ შუბლზე და მოღრუბლულ, დამჭკნარ სახეზე — რომელზედაც ყველაფრისადმი ზიზღი აღბეჭდილიყო — ნათლად წაიკითხავდით, რომ ცხოვრების ულმობელ პირობებს მისთვის ბევრი ნაღველი დაელევინებინა და სიცოცხლე გაემწარებინა

ჩხირსავით გამხმარ, წვრილ და გრძელ ტანზე ძველი სერთუკი ეცვა, რომელიც მის მოხრილ მხრებზე უშნოთ ეკიდა; მის ჩავარდნილ გულ-მკერდს ოდესღაც გაკრახმალებული, დაჭმუჭვნილი პერანგი ჰფარავდა, რომლის ფართე საყელოდან მამლაყინწასავით წინ წაგრძელებული მაჯის სისხო კისერი ამოდიოდა და მაზე

თითქოს ძალათ დაკოწიწებულ გაძვალ-ტყავებულ თავს ძლივს იმაგრებდა. კისრის ყველა ძარღვების დათვლა სულ ადვილათ შეიძლებოდა. მის ლამი-ტოპიასავით მაღალ და წვრილ ფეხებზე ფართეთ ჩამოკიდებული, გახხილი და ტოტებ-შემოცვეთილი შავი შარვალიც მწარე სილარიბეზე მჭერმეტყველურად ღაღადებდა. ნაჭრებით დაკონკილ მის ფეხსაცმელებიდან იგივე სილარიბე გამოიცქირებოდა.

ფეხი-ფეხ „გადადებული და მუხლებზე ხელებ დაყრდობილი, ის ქანდაკებასავით უძრავათ იჯდა. მისი შემოდგომასავით პირ-მოქუშული სახე და შუბლის ძარღვების დრო-გამოშვებითი მოძრაობა ამტკიცებდენ, რომ მის თავში შავი და მწარე ფიქრები ერთი-მეორეს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მისდევდენ.

—უსამართლო და უკუღმართია ცხოვრების ბრუნვა-ფიქრობდა ის-რომელიც დღე-მუდამ უწყალოთ სრესავს და სთელავს, სწამლავს და შხამავს აუარებელ ადამიანთა სიცოცხლეს; მისი საძირკველი, მისი ქვა-კუთხედი ადამიანების სისხლისა და ცრემლის ზღვით არის გაჟღენთილი.

სიბნელით მოცულ, გულ-ქვა ცხოვრების მრავალ-საფეხურებიან და გრძელ კიბეზე მონა-ადამიანები გამხეცებულები ერთი-მეორეს ებრძვიან; მისი ულმობელი პირობები თვითეულ მათგანს აიძულებენ, რომ მან სხვებს ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოაცალოს, ძირს სილატაკის უფსკრულში ჩაყაროს და მათი უბედურება თავის ბედნიერების საფეხურად გამოიყენოს. კიბის ყველა საფეხურებზედ მყოფნი მუდამ რყევასა და შიშში არიან; ისინი მკვიდრ ნიადაგზე ვერ გრძნობენ თავს და კარგათ იციან, რომ ბრმა ცხოვრება დაუნდობელია; ის დღეს მაღლა აგიყვანს იმისათვის, რომ ხვალ მოულოდნელად სარმა გამოგკრას და თავდაყირა გადმოგისროლოს.

ადამიანები კმაყოფილნი არ არიან თავის მდგომარეობით; ისინი მუდამ მოუსვენრობაში არიან და ამაოდ ცდილობენ, რომ თავის მდგომარეობა განამტკიცონ და უზრუნველ-ჰყონ. მათ თვითონაც არ იციან, ხვალინდელი დღე რას მოუტანს; ისინი ცხვირ წინ ვერაფერს ხედავენ და ბრმათ ემორჩილებიან ცხოვრების ტრიალს, რომელიც მათ თავის სურვილისამებრ ნაფოტებივით დააქანებს. ის ყველას იბონებს, ყველას თავისებურათ ათამაშებს და ამოძრავებს.

მაშვრალნი და წამებულნი, რომელთა ოფლიან მხრებზეა დაყრდნობილი ცხოვრების ეს უზარმაზარი და მძიმე კიბე, ქედ-წახრილნი ძირს ჩაბღუიან და იმას ვერ ამჩნევენ, რომ ქვეყანას ისინი აწოვებენ ძუძუს. უსამართლობაზე დაყრდნობილ უკუღმართ კიბის დანგრევის ნაცვლათ, ისინი შეუგნებლად სჭედავენ თავის ბორკილებს მით, რომ თვითონვე ამაგრებენ მათივე უბედურების საძირკველს. დაბრმავებულნი ისინიც ცდილობენ ამ კიბეზე მაღლა აცოცებას, სიმდიდრის მოხვეჭას და მით ვითომდა თავის თავის უზრუნველ-ყოფას; მათ იმედიც აქვთ, რომ ხვალ უთუოდ მიახწევენ ამ მიზანს; ღამე და დღე ისინი მხოლოდ ამ იმედით სულდგმულობენ, მაგრამ ამაოთ მისდევენ ისინი ამ ტკბილ მოჩვენებას; ცხოვრების აჩრდილი აჩრდილათვე რჩება.

ცხოვრების დაბალი საფეხურები ყველაზე უფრო მოლიპული და უნდობია; სიმდიდრის მაძიებელთ მოულოდნელათ ფეხი უსხლტებათ და ქვევით ყირამალა ცვივიან. მხოლოთ თითო-ოროლა ადამიანობა-გარეცხილი და პატიოსნებით მოვაჭრე სხვების ზურგზე მაღლა-მაღლა მოხერხებულათ მიცოცავს და ლამობს იქ ბედნიერებით დატკბობას...

ადამიანები ერთი-მეორეს მეგობრულათ ხელს უწვდიან და შესცინიან, როდესაც ამას სარგებლიანობა მოითხოვს, ან კიდევ ერთი-მეორეს მხეცურათ უბღვერიან და შესაჭმელად არ ინდობენ, როდესაც საქმე იმავ სარგებელზე და სარფაზე მივარდება.

ქვეყნის ამშენებელნი და მასაზრდოებელნი, დღეს უგულო ცხოვრებისაგან გარიყულნი და ჯოჯოხეთურ გარემოებაში ჩაცვინულნი უმწეოთ და ყრუთ გმინავენ; ისინი ცხოვრების ზღვაში იხრჩობიან და მათ ხელს კი არავინ უწვდის. ხორველასავით ყველანი გაურბიან და შორიდან გულ გრილათ შესცქერიან მათ წამებას, იმიტომ რომ სიბრმავის გამო არ მოელიან ხვალ იმათი ბედის განაწილებას. უსაქმურნი და უმუშავარნი ცხოვრების ზედ-მეტ ბარგად გადაქცეულან და სიმშილით ცოლ-შვილიანათ ბუზებივით იჟუჟებიან.

მაღალ საფეხურებზე კი ხარობენ და იცინიან, იმიტომ რომ დაბლა ტირიან და ტანჯვა-ვაებაში სულსა ლევენ; მაღლა სიტკბოებაა, იმიტომ რომ დაბლა სიმწარეა; მაღლა ფუფუნება და განცხრომაა, იმიტომ რომ დაბლა სილატაკე და სიმშილია...

აი თუნდაც ამ უზარმაზარ ქალაქში—რომელიც ასე დიდებულათ გადაჭიმულა—ვინ იცის რამდენი ცრემლი და ნაღველია დაგუბებული, ვინ იცის ჩუმათ რამდენი გმინავს თავის ჭერ-ქვეშ ულუკმა-პურათ... მაღალი სართულებიდგან კი პასუხათ გაისმის უდარდელი სიცილი-ხარხარი...

უმუშევართა არმიასთან ერთად ვიწრო, სულის შემხუთავ გალიაში გამომწყვდეულ ჩიტსავით მეც თავ-განწირული ვეხეთქები და ამაოდ ვაწყდები ძუნწი ცხოვრებისაგან ვიწროთ ამართულ ზღუდეებს; მის მოჯადოებულ რკინის ჩარჩოებში და ბასრ ბრჭყალებში მოქცეული, მეც გამწარებული მშრალზე ამოვარდნილ თევზივით ვფართხალებ, მაგრამ ამაოთ...

ყველასაგან დავიწყებული, მთლად გარიყული, სულით და ხორცით ავათმყოფი და დამშეული ადამიანის აჩრდილს დავემსგავსე; ცოლშვილთან ერთად სილატაკის ნელ ცეცხლზე ვიწვი და შეუჩერებლივ დაღუპვის გზაზე მივექანები...

და მერე რათ მხვდა მე ასეთი მწარე ხვედრი?! რათ ჩავვარდი ამ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში?!..

იმისთვის, რომ გავკადნიერდი და ადამიანური ცხოვრება მოვითხოვე; იმისათვის, რომ უსამართლობა აშ-

კარათ ვამხილე; იმისათვის, რომ რკინის უღელში შებმულ და ბორკილებ გაყრილ ხალხის სიყვარულით ავენთე და წყვდიადით მოცული მისი ცხოვრების გზა-კვალი ლამპარივით განათება მოვიწადინე; იმისათვის, რომ, როგორც სოციალისტი, ხალხის ჭეშმარიტი, ნამდვილი მასწავლებელი ვიყავ...

აი ამისათვის უსამართლო ცხოვრების ბრმა დამცველებმა ულვთოთ მტარჯეს, მაწამეს, საპყრობილეში დამალპეს, ფეხ-ქვეშ გამქელეს და დამაჭლექეს; სიცოცხლეს და ადამიანურ ცხოვრების მოწყურებულ ჯერ ისევ ახალ-გაზდა კაცის ყველაფერი, ჩემი თავიცკი შემაზიზღეს, და მოშხამეს და დასევდაებული სამარის კარზე მიმიყვანეს...

მაგრამ, დეე მეც ხალხს მსხვერპლათ შევეწირო; დეე მათი სიბნელის გასაფანტათ მეც სანთელივით დავდნე; დეე ჩემმა გაწამებულმა ძვლებმაც განაპოხიერონ ის ნიადაგი, რომელზედაც აუცილებლად აღმოცენდება სანეტარო მომავალი. ჩემს დაკოდილ და დაწყლულებულ გულში კვლავ მაინც ღვივის დიდებული და საკაცობრიო იდეალი; ის იყო, რომ მთელ ჩემ ხან-მოკლე სიცოცხლეში მაგნიტივით მიზიდავდა და აღელვებულ ცხოვრების საშიშარ ტალღებზე უშიშრათ დამაქანებდა. ახლაც არ ვუღალატებ მას... და ჩემს დაჩიავებულ არსებას კვლავ მისი წმიდა ცეცხლით ავანთებ!..

მღელვარებისაგან ატაცებული, თვალებ-გაბრწყინვებული და მუშტებ-მოღერებული ნიკო ზეზე წამოიჭრა და მტკიცე ნაბიჯით შეაღო ოთახის კარები.

შვიდი თვის ბავშვი აკვანში გასხავებული ტიროდა; აკვანთან მუხლებზე დაცემული და თვალ-ცრემლიანი დედა კი გამჭკნარ ძუძუებს მას პირში ძალათ უდებდა...

ამ სურათმა მას შესვლისათანავე გახურებულ ტვინში ჩაქუჩივით დაჰკრა და გულზე მწარეთ უკბინა.

— ოოხ, დაწყევლილო, მუხთალო ცხოვრებავ!!.. კბილების ღრჭენით გულის სიღრმიდგან ამოიგრგვინვა მან და მოწყვეტილი კუშეტკაზე დაეშვა; ამ სიტყვებთან ერთად მას პირიდგან სისხლის ნაკადული ამოსკდა, რომელიც ერთ ხანს შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა და იატაკზე წითელ ტბორეთ გუბდებოდა.

(შემდეგი იქნება).

ს. პართენაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

„ჩვენი კვალის“ მეორე ნომერში მოთავსებულია ნიკიფორე მეგრელიშვილის წერილი, სადაც ის გვეკითხება, რათ არ გადაეცით ფული სიმონოვს, რომელიც მე თქვენ გამოგიგზავნეთო. ვასრულებ ნიკიფორე მებრელიშვილის სურვილს.

„სორაპნის“ ამხან. მიიღო სხვადასხვა დროს ნიკიფორე მებრელიშვილისაგან 34 მანეთი, აქედან მას მებრელიშვილს ემართა ჩვენი ჟურნალ. „მასხარის“ 9. მანეთი—ჟურნალ გაზეთები გაეგზავნა მას 29 მარტს. 10 მანეთი 85. კაპ. სულ 19 მ. 85. კაპ.

ეს ფული აიღო „სორაპნის“ ამხ. დანარჩენი 14 მ. 15 კაპ. გადავეცით „ეკლის“ რედაქციას (მისი გმართებიათ—14 მ. 40 კაპ.) რაც შეადგენს სულ 34 მანეთს. ეხლა ჩვენ გვეკითხებით ნიკიფორე მებრელიშვილო, სიმონოვისათვის რაღა უნდა გადამეცა? ეს ანგარიში გაცნობეთ თქვენ წერილითაც 22 მაისს. და გვიკვირს ან თქვენ თავს რათ აწუხებთ და ან რედაქციას.

„სორაპნის“ ამხ. გამ. მ. გაჩეჩილაძე.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ. —	კ.
ნახევარ წლით — —	3 მ. —	კ.
სამითვით — —	1 მ. 60	კ.
საზღვარ გარეთ ერთიწლით	7 მ. —	კ.
ნახევარ წლით — —	4 მ- —	კ.
სამი თვით — —	2 მ. —	კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური

ხელისმოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. остров) Рахиль Каландадзе

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ლიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

---

8 **ივნისს, 1908 წ.**

მუშტაიდის ბაღში.

ქართველ ქალთა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოთ გაიმართება,

დიდი სეირნობა

ლატარია-ალეგრით.

ლატარიისთვის სხვათაშორის დანიშნულია სკოლის მოწაფეების ხელსაქმეები: აბრეშუმით ნაკერი მუთაქები, ბალიშები, პირსახოცები, ცხვისსახოცები, საბავშო და ქალთა ტანისამოსი, ქარგით ნაკერი საცვლები, სუფრები, სალფეტკები და სხვა...

გარდა ხელსაქმისა აგრეთვე დანიშნულია მოსაგებათ: საკერავის მაშინები, სამოვრები, ყავადნები, ვაზები, პატარა სარკეები, პატარა მაგიდები, პატარა ხალიჩები და სხვა ნივთები.

სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს

სამხედრო მუსიკა და საზანდარი, აგრეთვე გაიმართება სხვა და სხვა გასართობები ბავშვებისთვის. ბაღში შესასვლელი ფასი 20 კ. მოწაფეებისათვის 10 კ. ალეგრის ბილეთი—20 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრ.ნსკისა № 1.